**შპს ,,პროფესიულ კოლეჯ მენტორი" - ს ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| თავმჯდომარე: ვალერი ჯაჯანიძე |
| **წევრები:** |
| ანა ქურციკიძე |
| ხათუნა ჩომახიძე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება: **პროფესიულ კოლეჯი მენტორი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **405835627**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

**დაწესებულების ავტორიზაცია**

■ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 22 აპრილის MES 464425 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ,,პროფესიულ კოლეჯ მენტორი" - ს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლით განსაზღვრული პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 05-07 მაისს მისამართზე: ქ. თბილისი ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №4.*
*ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ,,ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, დებულებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, კოლეჯის შენობა-ნაგებობების, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის, სტუდენტური სერვისების და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა.*
*ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი.*

## III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

| პროგრამის სახელწოდება | პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| შრომის უსაფრხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალურ სამუშაო გარემოში | კოოპერაციული | ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ.№4 |

## IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები
I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 1.1) პსდ-ს მისია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **4) ადამიანური რესურსები** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2) პერსონალის განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | **☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>■ არ შეესაბამება** |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>■ არ შეესაბამება |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 5.3) ფინანსური რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| შრომის უსაფრხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

**5.1.1.1** კოლეჯის საკუთრებაში არაა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო სივრცე, ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი.

**IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

**5.1.2.1** დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების გეგმით განსაზღვრულ ვადაში შესრულება.

**V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

5.1.2.2 **განმავითარებელი რეკომენდაცია** - დაზუსტდეს რეგულაციაში ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები'' არსებული ჩანაწერი მედიკამენტების შესახებ, ისე რომ იკითხებოდეს ცალსახად და არა ორაზროვნად.

2.4.1.2 **განმავითარებელი რეკომენდაცია** - მიზანშეწონილია დაწესებულებამ მოახდინოს მოქმედი რეგულაციების რეგულაციის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" და ,,სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მექანიზმები" ოპტიმიზაცია, რომ აღმოიფხვრას თემატური გამეორებები და გადაფარვები;

2.4.2.2 **განმავითარებელი რეკომენდაცია -** მიზანშეწონილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სრულფასოვნად წარმართვის მიზნით დაწესებულების რეგულაციაში მკაფიოდ გაიწეროს რისკების სისტემა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

2026 წლის 23 ივლისს ექსპერტთა ჯგუფთან წარმოდგენილი იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ამსახველი წერილი, რომლის თანახმადაც პსდ იზიარებს ექსპერტების მიერ განმავითარებელ რეკომენდაციებს, რაც შეეხება სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციას - **5.1.2.1** - ,,დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების გეგმით განსაზღვრულ ვადაში შესრულება" ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია რჩება უცვლელი, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ჰიდრანტის არსებობის დამადასტურებელი ფოტო მტკიცებულებები, კოლეჯის დირექტორის **2026 წლის 16 თებერვლის №2602-901 ბრძანებით დამტკიცებული ,,შესაბამისობის გეგმით" გათვალისწინებული სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა აქტივობა არაა შესრულებული შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები,კერძოდ საბოლოო შედეგის მიღწევისთვის აუცილებელი აქტივობა - ,,შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა"**. რაც შეეხება გამოვლენილ ხარვეზს - **5.1.1.1** ,,კოლეჯის საკუთრებაში არაა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო სივრცე, ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი" - ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის განხორციელებული აქტივობების საფუძველზე (შენობის პირველი სართულის იჯარა და სპორტდარბაზთან დადებული პრაქტიკის ხელშეკრულება) გამოვლენილი ხარვეზის განმაპირობებელი გარემოებები და ფაქტორები, კერძოდ ,,არაა საერთო სარგებლობის სივრცეები, რომელიც გამოყენებული იქნება მხოლოდ კოლეჯის ადმინისტრაციული, აკადემიური, დამხმარე პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის და კოლეჯის სტუმრებისთვის, აღნიშნული სივრცეები - მე-7 სართულზე არსებული ფოიე, დერეფანი, სანიტარულ-ჰიგიენური კვანძები საერთოა შენობის მე-7 სართულზე არსებული ყველა ორგანიზაციისთვის, რაც ექსპერტების აზრით გამოიწვევს კოლეჯის სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებს, შეზღუდავს მათ ექსტრაკურიკულურ აქტივობებს, რიგ შემთხვევებში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მომატებულ ხმაურს, რაც ლექციის ჩატარების შემაფერხებელი ფაქტორი იქნება, საერთო სარგებლობის სივრცეების, კერძოდ კი სველი წერტილების გამტარუნარიანობის პარამეტრის შემცირება (126 პროფესიული სტუდენტი+შენობის მე-7 სართულზე არსებული სხვა ორგანიზაციის სტუმრები და პერსონალი) ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება". ის გარემოება, რომ საერთო სივრცეში არსებული სპორტდარბაზი კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია ხდება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ნაწილში, ექსპერტთა მოსაზრებით ვერ შეცვლის ფაქტს, რომ ეს ორგანიზაცია არაა კოლეჯის სტრუქტურას დაქვემდებარებული და შესაბამისად ის რისკები, რაც ხარვეზის ე.წ. აღწერილობაშია მოყვანილი ისევ არსებობს. ზემოთქმულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი ინარჩუნებს საკუთარ მოსაზრებას და პოზიციას დაფიქსირებული შესაბამისობის რეკომენდაციასა და ხარვეზთან მიმართებით.

**ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება**

**1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

**1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია**

**1.1.1** პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.**

დაწესებულების მისია ხაზს უსვამს პსდ-ს მონოპროფილურ მიმართულებას, კერძოდ ,,შპს პროფესიული კოლეჯი მენტორი არის კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სფეროში საერთაშორისო სტანდარტებისა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების გზით". კოლეჯის მისიით განსაზღვრულია მისი როლი პროფესიული სტუდენტების და მსმენელების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და ღია საზოგადოებაში ინტეგრაციის თვალსაზრისით. კოლეჯის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში, შრომის ბაზრისთვის გარემოსდაცვითი სისტემების  და ტექნოლოგიების კომპეტენციის ადამიანური რესურსის მომზადება. კოლეჯის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. დაწესებულების მისია ნათლად წარმოაჩენს საკუთარ როლს, როგორც თანამედროვე შრომის ბაზრის კონკრეტული სეგმენტის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით უზრუნველყოს შესაბამისი ცოდნისა და უნარის მქონე კურსდამთავრებულების მომზადება და მიწოდება ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად.

დაწესებულების მისია ეფექტურად ეხმიანება პროფესიული განათლების ეროვნულ პრიორიტეტებს. იგი ორიენტირებულია მოქალაქეთა საგანმანათლებლო და სოციალურ-კარიერულ მხარდაჭერაზე, შიდა თუ გარე ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე. კოლეჯი მნიშვნელოვან როლს ასრულებს უწყვეტი განათლების პროცესშიც, მთელი სიცოცხლის მანძილზე რეალიზებასა და კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაში გამოიხატება.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.**

**2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან.**

მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან; შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი"" საკუთარი გაცხადებული მისიის მიხედვით, ხაზს უსვამს საკუთარ მონოპროფილურობას, აქცენტს აკეთებს მხოლოდ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებაზე, რაც მოიაზრებს აღნიშნული მიმართულებით კვალიფიციური კადრის მომზადება-გადამზადებას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-განხორციელებას და პროცესებში დარგის დამსაქმებლების ჩართვას, ასევე „სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის მხარდაჭერას".

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან.**

**3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.**

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს კოლეჯის მისიიდან და ითვალისწინებს მისიით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრინციპებს. შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი" - ს ხედვაა იყოს მისიით განსაზღვრული სფეროს მიმართულებით მოთხოვნადი საგანმანათლებლო დაწესებულება. პსდ-ს ხედვის მიღწევას უზრუნველყოფს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში დაგეგმილი აქტივობები. პსდ-ს მისიიდან და ხედვიდან გამომდინარე ასევე განსაზღვრული აქვს ღირებულებები, რომელიც მოიცავს პროფესიულ და სოციალურ პასუხისმგებლობას, თანასწორობას, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის, გარემო ეკოსისტემის დაცვის კანონმდებლობით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულ პრინციპებს. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.**

**4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**
დაწესებულებას დირექტორის 2026 წლის 06 მარტის №2603-302 (ცვლილება 24.04.2026, №2404-401) ბრძანებით დამტკიცებული აქვს რეგულაცია ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის წესი, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი", რომელიც არეგულირებს დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის, გაზიარებისა და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელების წესსა და პროცედურებს. ზემოაღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია პროცესზე პასუხისმგებელი და ჩართული პირები. მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებაში ასევე, მისიის, ხედვის, ღირებულებების ცვლილებების გატარების პროცესში ჩართულნი არიან პროფესიული სტუდენტები, კოლეჯის პერსონალი, პარტნიორი ორგანიზაციები/დამსაქმებლები და მოწვეული სხვა დაინტერესებული მხარეები. აღნიშნული საკითხის შეფასებისას დადგინდა, რომ სტრატეგიული დოკუმენტების, მათ შორის, მისიისა და ხედვის შემუშავება პროცესი პსდ-ში არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარეობდა, რის დასტურადაც წარმოდგენილი იყო სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის და დაინტერესებულ მხარეებთან, შეხვედრებისა და მიმოწერის მტკიცებულებები. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე, დართული აქვს პსდ-ს მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს, ასევე ფიზიკური ვერსია განთავსებულია კოლეჯის ფოიეში.
**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**
- შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი" - ს ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის წესი, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი";
- დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები;
- პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მტკიცებულებები;
- დაწესებულების ვებგვერდი - https://www.mentorcollege.ge/ჩვენს-შესახებ/მისია-ხედვა-ღირებულებები.

**შეფასება:**
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება**
**1.2.1** პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.**

კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 06 მარტის №2603-302 (ცვლილება 24.04.2026, №2404-401) ბრძანებით დამტკიცებული რეგულაცია ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის წესი, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი“ არეგულირებს დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურებს. შიდა მარეგულირებელი აქტის მიხედვით განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები, კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების, კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნაზე/შეცვლაზე პასუხისმგებელი პირები, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების/შეცვლის/გაზიარების წესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების/შეცვლის/გაზიარების წესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგების პროცედურები. მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორი, ხოლო შემუშავებასა და მონიტორინგს ახორციელებს სტრატეგიული დაგეგმვის კომისია.

ვიზიტის ფარგლებში კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილ იქნა კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 15 მარტის №2603-303 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს დაწესებულების ძლიერ და სუსტ მხარეებს და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, შესრულების ვადებს და საშუალებებს.

კოლეჯში არსებული გარემოებების შესწავლით, პერსონალთან გასაუბრებით, და წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ დაწესებულებას დამუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია და ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად ხორციელდება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები.

**2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.**

სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია, კოლეჯში სტრატეგიულ გეგმას შეიმუშავებს სტრატეგიული დაგეგმვის კომისია, კოლეჯის ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობით, რამდენადაც სტრატეგიული დაგეგმვის კუთხით საქმე გვაქვს შრომის ბაზრისთვის ადამიანური რესურსის მიმწოდებელ დაწესებულებასთან და შესაბამისად სტრატეგიული დაგეგმვის ღიაობა მნიშვნელოვანი კომპონენტია. სტრატეგიული დაგეგმვის კომისიის შემადგენლობა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 17 აპრილის №2604-801 ბრძანებით. დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავებაში ამ ეტაპზე ჩართულნი არიან კოლეჯის პერსონალი, პარტნიორი ორგანიზაციები/დამსაქმებლები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა სტრატეგიული დაგეგმვის კომისის დამტკიცების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და გაზიარების ამსახველი დოკუმენტაცია, 2026 წლის 20 აპრილის №2604-901 სტრატეგიული დაგეგმვის კომისიის სხდომის ოქმი, კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 15 მარტის №2603-303 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც დასტურდება დაწესებულების პარტნიორების, კერძო და საჯარო სტრუქტურების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სხვა პირთა ჩართულობა, წარმოდგენილია მიმოწერისა და სამუშაო შეხვედრების ამსახველი მტკიცებულებები.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ ისინი იცნობენ და იზიარებენ დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას.

**3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

პსდ ხელმძღვანელობს დირექტორის 2026 წლის 15 მარტის №2603-303 ბრძანებით დამტკიცებული 2026-2033 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმით. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია კოლეჯის მისიასთან თავსებადი მიზნები, მიზნების შესაბამისი ამოცანები, შესრულების ვადები და შესრულების ინდიკატორები.
კოლეჯის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია 4 სტრატეგიული მიზანი, მათ შორის პროფესიული განათლების პოლიტიკის დოკუმენტით: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა; კოლეჯის მართვის ეფექტიანი ადმინისტრაციული სისტემის ჩამოყალიბება და პერსონალის პროფესიული განვითარების მდგრადი გარემოს უზრუნველყოფა; პროფესიული სტუდენტების წარმატებული ინტეგრაციისა და განვითარების ხელშეწყობა ეფექტიანი პროფორიენტაციის, სტუდენტზე ორიენტირებული სერვისებისა და არაფორმალური განათლების მექანიზმების დანერგვით; კოლეჯის რეპუტაციისა და ცნობადობის გაზრდა, სტრატეგიული პარტნიორობისა და საერთაშორისო ინტეგრაციის გზით. სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების კუთხით კოლეჯს წარმოდგენილი აქვს მიზნების შესრულების პერიოდი და და შესრულების ინდიკატორები. სტრატეგიული განვითარების გეგმასთან ერთად კოლეჯს წარმოდგენილი აქვს დირექტორის 2026 წლის 15 აპრილის №2603-303 ბრძანებით დამტკიცებული 2026-2027 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: მიზნები, ამოცანები, აქტივობები, ვადები, კარგად ფორმულირებული გაზომვადი შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი და შემსრულებელი სტრუქტურული ერთეულები თუ პირები, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), ასევე აქტივობების განხორციელების მატერიალური და ფინანსური რესურსი.
**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი"ს ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის წესი, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი";



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები;
- დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის კომისიის შექმნის შესახებ;
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მტკიცებულებები;
- დაწესებულების ვებგვერდი - https://www.mentorcollege.ge/ჩვენს-შესახებ/მისია-ხედვა-ღირებულებები.

**შეფასება:**
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2.2** პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა
1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
**1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.**
კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 06 მარტის №2603-302 (ცვლილება 24.04.2026, №2404-401) ბრძანებით დამტკიცებული რეგულაცია ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის წესი, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი“ არეგულირებს დაწესებულების სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და გაუმჯობესების მიზნით გეგმის გადახედვის პერიოდს, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე.
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმიების შესრულების მონიტორინგი ხორციელდება კომისიური წესით, სამოქმედო გეგმის შემთხვევაში 6 თვეში, ხოლო სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში 3,5 წელიწადში ერთხელ, შესრულების მონიტორინგის პროცესში მტკიცებულებების შეგროვებასა და შესრულების ინდიკატორების შეფასებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს. სამოქმედო გეგმის ყოველი აქტივობის ფარგლებში შესრულებულ საქმიანობას აღწერს და თითოეულ აქტივობას, შესრულების დონის მიხედვით, შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სტატუსი: 1. არ შესრულდა; 2. ნაწილობრივ შესრულდა; 3. შესრულდა.
სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებული პირების წრესთან მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით და წარედგინება კოლეჯის დირექტორს. შეფასებისა და მონიტორინგის საბოლოო მიზანს წარმოადგენს საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიული გემის ცვლილება. მიმდინარე ეტაპზე კოლეჯმა წარმოადგინა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის ფორმები, რომლებიც გამოყენებული იქნება სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების შეფასების მიზნით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯი ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

**2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**
კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 06 მარტის №2603-302 (ცვლილება 24.04.2026, №2404-401) ბრძანებით დამტკიცებული რეგულაცია ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის წესი, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი“ - ს მიხედვით სრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის შედეგებს წარუდგინება კოლეჯის დირექტორ, ადმინისტრაციას და დაინტერესებულ მხარეებს, ასევე გამოქვეყნდება კოლეჯის ვებ-გვერდზე.
მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს ახორციელებს კოლეჯის დირექტორი. ანალიზის შედეგებს კოლეჯის დირექტორი აცნობს თანამშრომლებს და დაინტერესებულ მხარეებს. საჭიროების შემთხვევაშიმო ხდება შესაბამისი ზომების მიღება. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება გეგმის კორექტირება, ჩანაწერების დაზუსტება, ვადების გადაწევა, აქტივობის ამოღება/დამატება.
**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

**3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.**
კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 06 მარტის №2603-302 (ცვლილება 24.04.2026, №2404-401) ბრძანებით დამტკიცებული რეგულაცია ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის წესი, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი“ - ს მე-14 მუხლის მიხედვით გეგმების შესულების ანგარიშები ყოველწლიურად განთავსდება დაწესებულების ვებ-გვერდზე დამტკიცებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი” - ს ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის წესი, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი“;
- დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები;
- კოლეჯის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმა;
- პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

**შეფასება:**
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა**

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 5 აპრილის N2604-407 ბრძანებით დამტკიცებული შპს პროფესიული კოლეჯი მენტორის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, სტატუსის შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების წესი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა, გასაჩივრების წესი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასება. ამავე წესით რეგულირდება პროფესიული განათლების სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პროცედურები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან წვდომა ჰქონდეთ და ისარგებლონ კოლეჯის ინფრასტრუქტურით, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით და პროფესიული სტუდენტებისათვის სპეციალურად გამოყოფილი, შესაბამისად აღჭურვილი სივრცეებით.

დამატებით, კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 6 მარტის N2602-309 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი". რეგულაციის მიხედვით, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსითა და სერვისით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საინფორმაციო საშუალებებით, მოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტის ასლის გადაღება და/ან არებული ელექტრონული რესურსის ადაპტირება (მაგ. აუდიო ფაილები ანგაზრდილი შრიფტის მქონე ელ-ვერსიები) რაშიც მათ ეხმარება ბიბლიოთეკარი და/ან ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

სტუდენტთა უფლებების შესახებ ინფორმაციას მოიცავს საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებაც, რომელიც ფორმდება პროფესიულ სტუდენტთან/ კანონიერი წარმომადგენელთან.

აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და გარანტიების შესრულებას.

**2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.**

კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის N2602-213 ბრძანებით დამტკიცებული სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მექანიზმების დოკუმენტის თანახმად, კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი ორგანიზებას უწევს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღებული პროფესიული სტუდენტების ნაკადისათვის პირველივე სასწავლო დღეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრას. შეხვედრაში მონაწილეობას იღებენ კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები ა დირექტორი, შეხვედრის დროს სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ. ასევე კოლეჯში არსებული სერვისების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებებისა და არსებული მხარდმჭერი ღონისიებების შესახებ. სტუდენტთა უფლებების შესახებ ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია

**3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს საკუთარი შეფასების შედეგები ეცნობება 5 დღის ვადაში, თუ სტუდენტი შეფასების შედეგს არასამართლიანად მიიჩნევს, მას უფლება აქვს, გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს კოლეჯის დირექტორს და გაასაჩივროს აღნიშნული შედეგი. კოლეჯის დირექტორის (სტუდენტის მიერ საჩივრით მიმართვის დღის) ბრძანებით შექმნილი სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სამი კალენდარული დღის ვადაში და სტუდენტს კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება წერილობით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ამავე დოკუმენტის მიხედვით, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის სწავლის შედეგის/შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში ერთჯერადად გავიდეს დამატებით შეფასებაზე (თუ აღნიშნული მოდული არის მომდევნო მოდული დაწყების წინაპირობა, ვადა განისაზღვრება მოდულის დასრულებიდან ორ კვირით, ხოლო თუ მოდული არ არის წინაპირობა მომდევნო მოდულის დაწყების, ამ შემთხვევაში დამატებითი შეფასების ვადა განისაზღვრება 8 კალენდარული დღით).

**4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების შესაბამისად, კოლეჯი მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში, კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რიცხავს აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან. კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში ადასტურებს, რომ დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და ინტერესები. არასრულწლოვნებთან ხელშეკრულებები ფორმდება მათ კანონიერ წარმომადგენლებთან.

**5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები და საჭიროების შესაძლებლობები. აღნიშნული წესის მიხედვით პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლებელია დადგეს: მობილობით ჩარიცხული სტუდენტის ინტეგრირების მიზნით, სტუდენტის სტატუსის ასადგენად სტუდენტის ალტერნატიულ აკადემიურ ჯგუფში ინტეგრირების მიზნით, სსსმ სტატუსით ჩარიცხული სტუდენტისათვის მოწნილი სასწავლო გრაფიკის შექმნის მიზნით, რომელიც გამოწვეულია სამედივინო აუცილებლობით და ხელს უწყობს მის მიერ მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების საფუძველზე.

დასტურდება:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ბრძანება N2604-407, 05.04.2026)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში;
- სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მექანიზმები (ბრძანება N2602-213, 06.02.2026)
- ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი (ბრძანება N2602-309)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.**
კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მექანიზმების დოკუმენტით რეგულირდება პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერის საკითხები აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული დოკუმენტებიის მიხედვით, შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად შესაძლებელია პროფესიულმა სტუდენტმა მოითხოვოს პროფესიული მასწავლებლის კონსულტაცია, რისთვისაც უნდა მიმართოს პროფესიული განათლების მასწავლებელს ან სასწავლო პროცესის მენეჯერს. ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლები პერიოდულად ორგანიზებას გაუწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ სტუდენტებთან, რომელთაც რაიმე სახის პრობლემა აქვთ მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში. ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი პერიოდულად ორგანიზებას გაუწევს ჯგუფურ შეხვედრებს პროფესიულ სტუდენტებთან, ამთი საჭიროებების გამოკვეთისა და შესაბამისი აქტივობების დაგემგვის მიზნით.

**2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**
კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ასევე სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მექანიზმების დოკუმენტი მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობ ღონისძიებებს, მათ შორის ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის პირველივე სასწავლო დღეს მოეწყობა გაცნობითი შეხვედრა, სადაც მოხდება მათი ინფორმირება დაწესებულების საქმიანობის პრინციპების, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ, ასევე კოლეჯში არსებული სტუდენტური სერვისების, მათი უფლებების, არსებული სერვსებისა და მხარდამჭერი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ღონისძიებების შესახებ. პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების მომართვის შემთხვევაში გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციების ჩატარება მათთვის საინტერესო საკითხებსა თუ საჭიროებებზე.

**3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.**
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია სტუდენტთა მიმართვაზე რეაგირების ვადები. პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების მიერ მიმართვის შემთხვევაში, ორი დღის განმავლობაში იგეგმება შეხვედრა და განიხილება მათი საჭიროებები. ადმინისტრაციული ხასიათის საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიმართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ცნობის გაცემა 2 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინტერესების დროულად დაკმაყოფილებას.

**4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.**
კოლეჯს სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მექანიზმების დოკუმენტით განსაზღვრული აქვს არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელთა მიზანია საჭირო კომპეტენციების ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, ალტერნატიული გზებით გამომუშავება და სამოქალაქო თვითშეგნების განვითარების ხელშეწყობა. კოლეჯის ბიუჯეტის შედგენისას ხდება სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის გათვალისწინება, რომლის ფარგლებში კოლეჯი საკუთარი ფინანსური შესაძლელობების ფარგლებში აფინანსებს საუკეთესო ინიციატივებს. აღნიშნული პროცედურა იწყება პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის მიერი პროექტის ინიცირებით. საპროექტო განაცხადი წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რომელიც უნდა მოიცავდეს შესაბამის დასაბუთებასა და საჭირო ბიუჯეტს. საპროექტო განაცხადს განიხილავს დირექტორის მიერ ბრძანების საფუძველზე შექმნილი დრობით კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს თავად დირექტორი. ინიციატივის დაკმაყოფილების შემთხვევაში ხდება დაკავშირება მის წარმდგენთან/წარმდგენებთან, შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის მიზნით, ხოლო უარის შემთხვევაში ინიციატივის ავტორს უნდა წარედგინოს არგუმენტირებული უარი 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

**5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.**
სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კოლეჯს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქვს სტრატეგიული მიზანი 4 - ინფრასტრუქტურისა და სტუდენტური სერვისების განვითარება. გარდა ამისა, ხარისხის შიდა მექანიზმებში გაწერილია სტუდენტების კვლევის კითხვარები, რომელიც უზრუნველყოფს კვლევას და შემდეგ სრულყოფის ღონისძიებებს. კოლეჯი განახორციელებს პროფესიული სტუდენტებისაგან/კურსდამთავრებულებისაგან უკუკავშირის მიღებას, რო საფუძველზეც მიღებულ ინფორმაციას გამოიყენებს აღმოჩენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
- სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მექანიზმები (ბრძანება N2602-213, 06.02.2026)
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ბრძანება N2604-407, 05.04.2026)
- სამოქმედო გეგმა (ბრძანება N2603-303, 15.03.2026)
- სტრატეგიული გეგმა ((ბრძანება N2603-303, 15.03.2026)
- ხარისხის მართვის შიდა მექანიზმები (ბრძანება N2602-324, 11.02.2026)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2.2** პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.**
პროფესიული სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისათვის კარიერული მომსახურების მიწოდებას განახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობის და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი, რომელიც შეიმუშავებს სტუდენტთა კარიერული განვითარების/ დასაქმების პოლიტიკასა და ეფექტიან მექანიზმებს. სტუდენტთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით, დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობისათვის ახორციელებს შეხვედრებს, საინფორმაციო ღონისძიებებს და საჭიროებისამებრ ღონისძიებებს, დასაქმების ფორუმების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების და დასაქმების თაობაზე ახორციელებს გამოკითხვების კოორდინირებას.

**2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.**
კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის N2602-324 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის პერსონალის სამუშაო აღწერილობების/საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის N5 დანართით განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობის და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის პასუხისმგებლობა უზრუნველყოს კოლეჯში პროფორიენტაციის ხელშეწყობის ღონისძიებების ორგანიზება და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერა: სტუდენტების ინფორმირება შრომის ბაზრის დინამიკისა და მოთხოვნების თაობაზე, სტუდენტსა და დამსაქმებელს შორის კავშირის უზრუნველყოფის მიზნით თემატური ღონისძიებების, დასაქმების ფორუმების ორგანიზება. სსსმ და შშმ სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და აკრიერის დაგეგმვის სპეციალისტი თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე სტუდენტებს ასევე აწვდის ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომში კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

**3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 11 თებერვლის N2602-324 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის შიდა მექანიზმების რეგულაციის შესაბამისად ხარისხის მართვისა და ამაღლების ერთ-ერთი ღონისძიებაა კურსდამთავრებულთა ასაქმების მაჩვენებლების კვლევა, ამ მიზნით კოლეჯი განახორციელებს წინასწარ დამუშავებული კითხვარის მეშვეობით პროფესიული პროგრამის დარსულების შემდეგ კურსდამთავრებულთა დასაქმების და დამსაქმებელთა კვლევას. კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რამდენად შეძლეს კურსდამთავრებულებლმა კოლეჯში შეძნილი პროფესიით დასაქმება.

**4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.**
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი, ხარისხის მენეჯერის ჩართულობით, კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 11 თებერვლის N2602-324 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის შიდა მექანიზმების დოკუმენტის თანდართული კითხვარებით, ატარებს გამოკითხვას, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას და სუსტი მხარეების გასაუმჯობესებელი ნაბიჯების დაგეგმვას.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
- ხარისხის მართვის შიდა მექანიზმები (ბრძანება N2602-324, 11.02.2026)
- სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მექანიზმები (ბრძანება N2602-213, 06.02.2026)
- პერსონალის სამუშო აღწერილობები/საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება N2602-312, 06.02.2026)

**შეფასება:**
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. ადამიანური რესურსები**
**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**
**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას
1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.**

კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 6 მარტის N2603-301 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის სტრუქტურის დოკუმენტით, ასევე 2026 წლის 6 თებერვლის N2602-312 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობები/საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტით მკაფიოდ არის განსაზღვრული ყველა პოზიციის სამუშაო აღწერილობა, მათ მოვალეობები. სტრუქტურა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ანგარიშვალდებულებას/პასუხისმგებლობას. პერსონალის სამუშაოთა აღწერილობების დოკუმენტით მკაფიოდაა განსაზღვრული ყველა თანამდებობრივი პოზიციის სამუშაო აღწერილობა, სადაც ჩანს თითოეული პოზიციის მიხედვით შესასრულებელი დავალებები, სამუშაოს პირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პოზიციებს შორის კოორდინაციის საკითხი, დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება/პასუხისმგებლობა. კოლეჯს ასევე, წარმოდგენილი აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, სადაც სქემატურად არის მოცემული პერსონალის იერარქია და დაქვემდებარებები. დაწესებულებაში დასაქმებულია 19 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს წინარე შრომითი ხელშეკრულებები. აღსანიშნავია, რომ სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქციები განსაზღვრულია მკაფიოდ, შეესაბამება სტრუქტურული ერთეულის/პოზიციის დასახელებას, არ არის ბუნდოვანი ან არ ხდება ძირითადი ფუნქციების დუბლირება. კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 11 თებერვლის N2602-322 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის, პროცედურებისა და შეფასების სისტემის დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესის ხელშემწყობ აქტივობებს, მათ შორის: ფუნქციების მკაფიო განსაზღვრა, ხარისხის მოთხოვნების გაცნობა და საჭირო მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობები.

ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს და თავიანთი პოზიციის შესაბამის სამუშაო აღწერილობებს, აქვთ განსაზღვული მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის ეფექტურობას.

**2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.**

კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დებულება სადაც ასახულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და მოვალეობები. ყველა სტრუქტურულ ერთეულს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და პასუხისმგებლობები. სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობების და ფუნქცია-მოვალეობები არ დუბლირდება და პასუხისმგებლობები ისეა გადანაწილებული, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ხელს შეუწყობს.

**3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

კოლეჯში დამტკიცებულია ხარისხის მართვის შიდა მექანიზმები, ხარისხის მართვის მენეჯერი, გარე ფაქტორების გათვალისწინებით შეიმუშავებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც გულისხმობს მისი საქმიანობის ციკლით - PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე) – წარმართვას. ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს ხარისხის შიდა შეფასებას, შეიმუშავებს და მათი გამოყენებით აწარმოებს სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის ანონიმურ ან/და ღია გამოკითხვებს, ესწრება ლექცია - პრაქტიკული მეცადინეობების მიმდინარეობას, დადასტურების (შეფასების) პროცესს, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელთა, ასევე შეფასების, გამოკითხვისა და ზოგადად პროცესის ხარისხის შეფასების მიზნით, ამოწმებს ბიბლიოთეკის მუშაობას და წიგნადი ფონდის განსახორციელებელ პროგრამასთან შესაბამისობას, ახორციელებს ვებ-გვერდის მონიტორინგს, მონაწილეობს თვითშეფასების ანგარიშებსა და თვითშეფასების კითხვარის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შევსების პროცესში, ახორციელებს მონიტორინგს საავტორიზაციო პირობების დაკმაყოფილების კრიტერიუმებს და ხარვეზების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს, კოორდინაციას უწევს ავტორიზაციის, რეავტორიზაციის, პროგრამის დამატებისა და ცვლილების პროცესებს, ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშებს სამოქმედო გეგმის განხორციელების, შენიშვნების, ხარვეზების, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ და ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად და არ არის გადაკვეთა და ინტერესთა კონფლიქტი სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობასთან.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- კოლეჯის სტრუქტურა (ბრძანება N2603-301, 06.03.2026)
- ხარისხის მართვის შიდა მექანიზმები (ბრძანება N2602-324, 11.02.2026)
- პერსონალის სამუშო აღწერილობები/საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება N2602-312, 06.02.2026

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

კოლეჯში პერსონალის მართვის საკითხები განსაზღვრულია პერსონალის მართვის, პროცედურებისა და შეფასების სისტემის დოკუმენტით, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2026 წლის 11 თებერვლის N2602-322 ბრძანებით, ასევე 2026 წლის 21 თებერვლის N2604-505 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის შინაგანაწესით. დოკუმენტაცია სრულად მოიცავს თანამშრომელთა სამსახურში მიღების, სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის, უფლებებისა და მოვალეობების გაცნობის ეტაპებს. აღნიშნული დოკუმენტაცია შესაბამისობაშია ერთმანეთთან. პერსონალი შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

- სასწავლო პერსონალი - პროფესიული მასწავლებლები
- ადმინისიტრაციული პერსონალი

მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით პსდ იყენებს ისეთ საკადრო მიდგომას, როგორიცაა საჯარო კონკურსის გამოცხადება, საკადრო რეკომენდაციების განხილვა, ახალგაზრდა კადრების დაინტერესება, კონკურენტუნარიანი ანაზღაურების შეთავაზება, პერსონალისათვის უწყვეტი განათლების შესაძლებლობების მიცემა, პერსონალის წახალისება, კორპორატიული კულტურის განვითარების ელშეწყობა. კოლეჯის საშტატო პოლიტიკა გულიხმობს საშტატო ერთეულის ანალიზსა და საჭიროების განსაზღვრას, კანდიდატების შერჩევას. დაწესებულების შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბმისად და განსაზღრულია დასაქმებულთა შრომის პირობები, შრომითი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალდებულებები, ამასთან დაკავშირებული წახალისებისა და სანქციების გამოყენების წესი. პერსონალის პირადი საქმეები და ხელშეკრულებები შესაბამისობაშია დაწესებულების შინაგანაწესთან.

პერსონალის პირადი საქმეები და ხელშეკრულებები შესაბამისობაშია დაწესებულების შინაგანაწესთან. მარეგულირებელი დოკუმენტაცია განთავსებულია დაწესებულების ვებ- გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

შესწავლილი დოკუმენტებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯში პერსონალის მართვა, ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. კერძოდ:

- შრომითი ხელშეკრულებები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან შესაბამისობაშია როგორც შინაგანაწესთან, ასევე საქართველოს შრომის კოდექსთან და დაწესებულების სხვა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან, შესაბამისად, აღნიშნულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერები ადასტურებს პერსონალის მხრიდან შინაგანაწესით დარეგულირებული შრომითი ურთიერთობის საკითხების გაცნობას.
- შესწავლილი დოკუმენტების პერსონალის პოზიციაზე დანიშვნა პროცესებში დაცულია როგორც შიდა მარეგულირებელი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ასევე, პერსონალთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის პრინციპები დაცულია მიმდინარე პროცესებში და პერსონალი ფლობს ინფორმაციას მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესახებ.

აღნიშნულ ნაწილში ვიზიტის ფარგლებში გაცემული იქნა შემდეგი ზეპირსიტყვიერი რეკომენდაცია:

სასწავლო პერსონალის პირადი საქმეებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობის განხილვისას აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევაში, კერძოდ ფინანსური მენეჯერისა და ექთნის პოზიციიაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნებში არ იყო კონკრეტულად სავალდებულო განათლების მოთხოვნის ნაწილში შესაბამისი განათლების დოკუმენტაციის მოთხოვნა მკაფიოდ განსაზღვრული. თუმცა, რადგანაც აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირების პირად საქმეში არსებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები სრულად შესაბამისი იყო აღნიშნული პოზიციისათვის, ჯგუფი შემოიფარგლა ზეპირსიტყვიერი რეკომენდაციით, აღნიშნულ საკვალიფიაციო მოთხოვნებში შესაბამისი მოთხოვნის დამატების შესახებ.

**2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.**

კოლეჯს დამტკიცებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის, პროცედურების და შეფასების სისტემა , რომელიც ითვალისწინებს პერსონალის შერჩევას, კერძოდ, სასწავლო პერსონალი თანამდებობაზე მიიღება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე. ადმინისტრაციული და დამხმარე კადრების აყვანა ხდება დანიშვნის წესით. ადმინისტრაციული პერსონალის დანიშვნა შესაძლებელია განხორციელდეს როტაციის, გაწეული რეკომენდაციის განხილვის ან ღია კონკურსის საფუძველზე. წესი განსაზღვრავს პერსონალის შესარჩევ კონკურსს, აპლიკანტების შერჩევას, გასაუბრებას, თანამშრომლის მიღებას და ორგანიზაციაში მისი ინტეგრაციის ხელშეწყობას. აღნიშნული წესი, ემყარება შემდეგ პრინციპებს:

1. სამართლიანობა -არადისკრიმინაციული, ობიექტური და მიუკერძოებელი გარემო;
2. თანასწორობა - თანაბარი შესაძლებლობები განურჩევლად ასაკის, სქესის, ეთნიკური, რელიგიური და რასობრივი კუთვნილებისა, სოციალური წარმომავლობისა და პოლიტიკური მრწამსისა;
3. გამჭვირვალობა -საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

**3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამუშაო აღწერილობები, რომელშიც გაწერილია სამუშაოს აღწერა და წარმოებს თითოეული საშტატო ერთეულის კონკრეტული თანამდებობისთვის და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
1. საშტატო ერთეულის სახელწოდება
2. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/თანამშრომელი პირები;
3. საქმიანობის სფერო, ფუნქციები, უფლებამოსილება;
4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
5. ანგარიშვალდებულება;
6. სამუშაო საათები;
ანაზღაურება განისაზღვრება დირექტორით ბრძანებით, სახელფასო პოლიტიკის შესაბამისად.
კონკრეტული თანამდებობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დირექტორის მოადგილე შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინირებით, შეიმუშავებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლის საფუძველზეც ხდება აპლიკანტის შეფასება და შერჩევა. საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა: განათლება და კვალიფიკაცია; მინიმალური სამუშაო გამოცდილება; სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. პერსონალის პირად საქმეებში დევს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები.

**4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**
კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკის, პროცედურების და შეფასების სისტემის დოკუმენტში გაწერილია, რომ კორპორატიული კომუნიკაცია საგანმანათლებლო დაწესებულების გამართული ფუნქციონირების, თანამშრომელთა მოტივირებულობისა და შრომითი კმაყოფილების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. კორპორატიული კომუნიკაციისა და გუნდურობის გასაუმჯობესებლად კოლეჯი გეგმავს და ახორციელებს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ღონისძიებებს. კორპორატიული კომუნიკაციის გაუმჯობესებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის მიერ საკუთარი თავის საგანმანათლებლო დაწესებულების ნაწილად აღქმა; პერსონალის სურვილი და შესაძლებლობა ჩაერთოს კოლეჯის ცხოვრებაში; პერსონალის პროფესიული სიამაყის განცდა. გუნდური მუშაობის პრინციპი, როგორც ერთ-ერთი ღირებულება იკითხება აღნიშნულ დოკუმენტში: „აღიარებს რა კორპორატიულ კულტურას, ეწევა კოლეგიალობაზე, გუნდურ მუშაობაზე, ეთიკისა და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებულ საქმიანობას. დაწესებულებაში დამკვიდრებულია გუნდური თანამშრომლობის პრაქტიკა, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში ისე სხვადასხვა სახის განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვაში.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
- პერსონალის სამუშო აღწერილობები/საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება N2602-312, 06.02.2026)
- პერსონალის მართვის, პროცედურებისა და შეფასების სისტემა (ბრძანება N2602-322, 11.02.2026)
- პერსონალის პირადი საქმეები
- პერსონალის ხელშეკრულებები

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2 პერსონალის განვითარება**

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.**
კოლეჯის მიერ დამტკიცებული კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკის, პროცედურებისა და შეფასების სისტემის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასება, გამოვლენა და ადმინისტრირების გაუმჯობესება, პერსონალის პოტენციალის აღმოჩენა და განვითარება, შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრა, დაკისრებული შეფასების მექანიზმი გულისხმობს გამოკითხვას, მონაცემთა დამუშავება-ანალიზს, რეკომენდაციების მომზადებას და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-გატარებას. პერსონალი ინფორმირებულია აღნიშნულის თაობაზე.

**2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.**
დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკის. პროცედურებისა და შეფასების სისტემის დოკუმენტში გაწერილია ინდივიდუალური პროფესიული გეგმა, რომლის შესაბამისად სასწავლო წლის დასაწყისში პერსონალი განსაზღვრავს ინდივიდუალურ პროფესიულ მიზნებს და ასახავს საკუთარ სამოქმედო გეგმაში. გეგმა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
- მომდევნო წლის პროფესიული მიზნები, მომდევნო წლისათვის განსაზღრული სესასრულებელი მიზნები, შესრულების ინდიკატორებით.
- საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესების პრიორიტეტები, საქმიანობის ის სფეროები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს და კონკრეტული ამოცანები.
- პროფესიული განვითარების საჭიროება, საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი ღონისძიებები, როგორებიცაა სასწავლო და გადამზადების კურსები, მენტორის დახმარება და ა.შ.

**3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი ზრუნავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. აღნიშნული განსაზღვრულია კოლეჯის როგორც სტრატეგიულ ისე სამოქმედო გეგმაში. სტრატეგიული მიზანი 3 - კოლეჯის მართვისა და პერსონალის განვითარებით ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფა;
კოლეჯი ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ახალი კადრების მოზიდვასა და სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიის გაუმჯობესებაზე. სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია განათლების ხარისხის თემატიკაზე - სწავლების თანამედროვე მეთოდები, სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და სხვ. სამოქმედო გეგმით გაწერილია ტრენინგის ჩატარება. იგეგმება პროფესიული მასწავლებლების სისტემატურ ჩართვა, როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, თუ სხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ განმავითარებელ ტრენინგებზე, ისე დაწესებულების მიერ საკუთარი ძალებით, შიდა რესურსებით მოწყობილ ტრენინგებზე.

**4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.**
კოლეჯის მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა, პროცედურები და შეფასების სისტემის დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომლის მიღებას და ორგანიზაციაში მის ინტეგრაციის ხელშეწყობას. დირექტორის მოადგილე და უშუალოდ სამსახურის უფროსი/მენეჯერი, რომელშიც იქნა ახალი კადრი აყვანილი და თანამშრომლები უზრუნველყოფენ ახალი თანამშრომლის ადაპტაციასა და დაწესებულების საზოგადოებაში ინტეგრაციას. სამსახურში მიღებისას დირექტორის მოადგილე ვალდებულია თანამშრომელთან ჩაატაროს საორიენტაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებში თანამშრომელს მიეწოდება ინსტრუქცია კონფიდენციალური ინფორმაციის გაუხმაურებლობის თაობაზე; თანამდებობრივი ინსტრუქცია და დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები; დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული გეგმა; კოლეჯის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექს, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის სამუშაო განრიგ; ინფორმაცია ანაზღაურების, ბენეფიტების, კოლეჯში მოქმედი სერვისების და სამომავლო პროფესიული პერსპექტივების შესახებ; ეცნობა სამუშაო სივრცეს; უმზადდება კორპორატიული ელ.ფოსტა და საბანკო ანგარიში. თანამშრომელთა საორიენტაციო პროგრამა ასევე მიზნად ისახავს დაწესებულებაში (თანამშრომლები, პროფ მასწავლებლები და ა.შ.) ახალი თანამშრომლის წარდგენას; მისთვის კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სხვა რესურსების გაცნობას. ახალ სამუშაო გარემოში სრულფასოვანი ადაპტაციის მიზნით, თანამშრომლის აყვანიდან პირველი ექვსი კვირის განმავლობაში მისი უშუალო ხელმძღვანელი, აგრეთვე დირექტორის მოადგილე რეგულარულად ამყარებენ მასთან კომუნიკაციას, ერთობლივად განიხილავენ მუშაობის საწყის ეტაპზე წამოჭრილ პრობლემებს და ერთობლივად სახავენ მათი გადაჭრის გზებს.

**5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**
კოლეჯში დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რპოცედურები და შეფასების სისტემის დოკუმენტი ითვალისწინებს პერსონალის განვითარებას, პერსონალთა განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივების მხარდაჭერას და მათ წახალისებას. პერსონალის განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები ეფუძნება პერსონალის საქმიანობის შეფასების და პერსონალის საჭიროებაა კვლევის ანალიზს. პერსონალის განვითარებაზე მიმართული აქტივობებია: უწყვეტი განათლების პროგრამები - კონკრეტული სასწავლო კურსები, ტრენინგები, ვორქშოფები, სამუშაო სემინარები; პერსონალის განმავითარებელი დავალებები - კომპეტენციის ფარგლებში მიცემული დავალება, რომელიც ახალი გამოწვევაა პერსონალისთვის და ხელს შეუწყობსმის პროფესიულ განვითარებას. დაწესებულების თანამშრომელი ან თანამშრომელთა ჯგუფი ინიციატივის პროექტს წარადგენს ხარისხის მართვის მენეჯერთან, რომელიც მოამზადებს შესაბამის წარდგინებას დირექტორის სახელზე. პერსონალთა განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივების წახალისების მიზნით დაწესებულება სარეზერვო ფონდიდან დააფინანსებს სწავლა- სწავლების პროცესში ახალი მეთოდების დანერგვასთან, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაკავშირებული პროექტები. საპროექტო განაცხადის წარმოდგენა შეუძლია, როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს. თანამშრომლის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სანიმუშო შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისთვის, ასევე მისი საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე გამოიყენება სხვადასხვა წახალისების ფორმები: მადლობის გამოცხადება; შესაბამისი სიგელის გადაცემა; ფულადი ჯილდოს (პრემიის) გაცემა; ფასიანი საჩუქრის გაცემა.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პერსონალის მართვის, პროცედურებისა და შეფასების სისტემა (ბრძანება N2602-322, 11.02.2026)
- სამოქმედო გეგმა (ბრძანება N2603-303, 15.03.2026)
- სტრატეგიული გეგმა ((ბრძანება N2603-303, 15.03.2026)

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

**5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.**

შპს „პროფესიული კოლეჯი მენტორი“ მის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილია მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის. კოლეჯს იჯარის ხელშეკრულებით (2033 წლის 9 თებერვლის ჩათვლით) გადაცემული აქვს ფართი ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქ. №4-ში (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.14.05.008.150.02.512) შენობის მე-7 სართულზე, სულ 619.93 მ$^2$. შენობაში უზრუნველყოფილია უწყვეტი ელექტრო ენერგიის მიწოდება, ცენტრალური გათბობა, ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები და ადაპტირებული გარემო შშმ პირებისათვის, კერძოდ, ლიფტი და სველი წერტილი. სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციაა (შესყიდვის აქტები). კოლეჯი ფლობს შემდეგ ინვენტარს: კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, ასლის გადამღები აპარატი, სკანერი, საპროექციო ეკრანები, კონდიციონერები.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა საკადასტრო და შიდა აზომვითი ნახაზები. დაწესებულების დათვალიერებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების სარგებლობაში არსებულ ფართში განთავსებულია:

- ფოიე;
- 1 AC გარემო - 21 პროფესიულ სტუდენტზე;
- 1 A გარემო - 21 პროფესიულ სტუდენტზე;
- 1 AB გარემო - 21 პროფესიულ სტუდენტზე;
- ბიბლიოთეკა და სამედიცინო კუთხე;
- ადმინისტრაციისათვის სივრცე;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
- სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
- სველი წერტილები, მათ შორის შშმ პირებისათვის;
- სივრცე არქივისთვის;
- სივრცე პროფესიულ სტუდენტთა სხვადასხვა აქტივობისა და შემოქდებითი საქმიანობისათვის;
- დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის პროფესიული მიზნებისთვის გათვალისწინებული სასწავლო და სამუშაო სივრცეები, დადგინდა, რომ სასწავლო მიზნით გამოყენებული აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკით. ადმინისტრაციული სივრცის, სამუშაო ოთახების და სასწავლო აუდიტორიების ფართობი, განლაგება და მოწყობა შეესაბამება დანიშნულებას, მომუშავე პირების და პროფესიული სტუდენტების რაოდენობას.

**დაწესებულების მიერ ავტორიზაციის განაცხადთან ერთად წარმოდგენილ იქნა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს იჯარის არსებობას და ანნა პოლიტკოვსკაიას №4 - ში (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N 01.14.05.008.150.02.512) მდებარე შენობა-ნაგებობის მე-7 სართულზე, მეშვიდე სართულის აზომვითი ნახაზი, ხოლო ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა იჯარის ხელშეკრულება, როგორც ხელშეკრულებაში ვკითხულობთ შპს „პროფესიული კოლეჯი მენტორი“ - ს საკუთრებაშია 619.93 მ$^2$ ფართობი შენობის მეშვიდე სართულზე, ხოლო სრულად მე-7 სართულის ფართობია 754.00 მ$^2$. შენობის იმავე სართულზე არსებულ 134,07 მ$^2$ ფართობის სივრცეში განთავსებულია სპორტდარბაზი „თიდანი“,**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სპორტდარბაზის გასახდელი ოთახები და მასაჟის სასწავლო ცენტრი, შესაბამისად შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი“ - ს საკუთრებაში არაა საერთო სარგებლობის სივრცეები, რომელიც გამოყენებული იქნება მხოლოდ კოლეჯის ადმინისტრაციული, აკადემიური, დამხმარე პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის და კოლეჯის სტუმრებისთვის, აღნიშნული სივრცეები - მე-7 სართულზე არსებული ფოიე, დერეფანი, სანიტარულ-ჰიგიენური კვანძები საერთოა შენობის მე-7 სართულზე არსებული ყველა ორგანიზაციისთვის, რაც ექსპერტების აზრით გამოიწვევს კოლეჯის სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებს, შეზღუდავს მათ ექსტრაკურიკულურ აქტივობებს, რიგ შემთხვევებში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მომატებულ ხმაურს, რაც ლექციის ჩატარების შემაფერხებელი ფაქტორი იქნება, საერთო სარგებლობის სივრცეების, კერძოდ კი სველი წერტილების გამტარუნარიანობის პარამეტრის შემცირება (126 პროფესიული სტუდენტი+შენობის მე-7 სართულზე არსებული სხვა ორგანიზაციის სტუმრები და პერსონალი) ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.**

**ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირდა ხარვეზი - კოლეჯის საკუთრებაში არაა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო სივრცე, ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი.**

**2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.**

შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი“ - ს დირექტორის 2026 წლის 05 აპრილის №2604-407 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ მე-VII თავის ,,პროფესიული სტუდენტი“ მე-20 მუხლი ,,პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები“ აღწერს დაწესებულების ინფრასტრუქტურის და სივრცეების პროფესიული სტუდენტი მიერ სარგებლობის საკითხებს, კერძოდ დოკუმენტში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები, რომლის თანახმად დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა და სრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაუბრკოლებლადაა ხელმისაწვდომი პროფესიული სტუდენტებისთვის. მატერიალური რესურსით სარგებლობის პროცედურები გაწერილია დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის №2602-317 ბრძანებით დამტკიცებულ რეგულაციაში ,,შპს პროფესიული კოლეჯი მენტორის მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“.

წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმეტებით დასტურდება, რომ კოლეჯის ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტებისთვის.

**3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**

დაწესებულებას მის საკუთრებაში არსებულ სივრცეებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით დამუშავებული აქვს რეგულაცია შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი“ - ს ,,სანიტარიული ნორმების დაცვის მექანიზმი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 10 თებერვლის №2602-813 ბრძანებით. რეგულაციის შესაბამისად გაწერილია შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი“ - ს ყოველდღიური დასუფთავებისა და დეზინფექციის პროცედურა, მეთოდოლოგია, გამოყენებული ინვენტარი/საშუალებები და განხორციელების პერიოდულობა. დაწესებულებას სანიტარულ ჰიგიენური ნორმების სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით გამოყოფილი ყავს დასუფთავების სპეციალისტი, რომელიც სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კუთხით ანგარიშვალდებულია სამეურნეო, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის წინაშე. რეგულაცია დანართის სახით მოიცავს ყოველდღიურად სანიტარულ-ჰიგიენური სამუშაოების ჩატარების აღრიცხის ჟურნალის ფორმას, კვირეული შემოწმების ფორმას და სანიტარული დარღვევის აღწერის ფორმას, ასევე ჰიგიენური საშუალებების კონტროლის ჟურნალს და სანიტარიული აუდიტის ჟურნალის ფორმას.

დათვალიერების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით კოლეჯის პროფესიული სწავლებისთვის განკუთვნილი სივრცეები მოწესრიგებულია. სველი წერტილები მარაგდება წყლით, დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები და აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით. დაწესებულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიერ წარმოდგენილია წყალმომარაგების საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

**4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.**

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი" - ს დროებით სარგებლობაში მყოფი შენობის სასწავლო, ადმინისტრაციული, დამხმარე და საერთო სარგებლობის სივრცეებში ცენტრალური გათბობის სისტემების ვიზუალური დათვალიერება, კოლეჯის საკუთრებაშია ცენტრალური გათბობის სისტემის საქვაბე და სხვა აღჭურვილობა, რომელთა ფუნქციონირება დასტურდება პერსონალთან გასაუბრებით, გაზის შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტებით. შესაბამისად დგინდება, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.

**5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.**

დაწესებულების შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე უფლებამოსილია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის და შესაბამისად. სამსახურის ფუნქციებია დაწესებულებაში შრომის უაფრთხოების მოთხოვნების დაცვა და დარღვევების პრევენცია; შენობისა და ინვენტარის დაცვა; ვიზიტორების შენობაში შესვლისა და გასვლის კონტროლი; დაცვის ტექნიკური საშუალებების - ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო სისტემების ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა; სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მუდმივად გამართულ მდგომარეობაში არსებობის მონიტორინგი; უსაფრთხოების მიზნით დაწესებულების შენობა-ნაგებობის გარე და შიდა განათების გამართულ მუშაობაზე კონტროლი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დროული რეაგირება.

შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. დაწესებულება აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. შენობის საევაკუაციო გასასვლელში და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილებში გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერი „112". შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია, საევაკუაციო გზებსა და გასასვლელებში ეწყობა საევაკუაციო გზის და გასასვლელების მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე და მისი კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დაწესებულებაში მოქმედებს შრომის უსაფრთხოების რელევანტური მექანიზმები.

**6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის №2602-317 ბრძანებით დამტკიცებულ რეგულაცია ,,შპს პროფესიული კოლეჯი მენტორის მატერიალური რესურსების გამოყენების წესი" და 2026 წლის 06 თებერვლის №2602-316 ბრძანებით დამტკიცებულ ,,შპს პროფესიული კოლეჯი მენტორის სასწავლო პროცესის რესურსების მიწოდების, განკარგვის, მოთხოვნის და ნარჩენების მართვის წესი", რომლებიც აღწერენ დაწესებულების რესურსების/სასწავლო აღჭურვილობის და სახარჯი მასალების უზრუნველყოფისა და მართვის საკითხებს. წესის შესაბამისად სასწავლო წლის დაწყებამდე, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრფოესიული განათლების მასწავლებლები ადგენენ საჭირო მასალებისა და ნედლეულის ჩამონათვალს მოდულის სასწავლო გეგმისა და მისაღწევი შედეგების შესაბამისად, წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით, აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე სამეურნეო ჯანდაცვის და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გასცემს მოთხოვნილ რესურსს 1 რის/1 კვირის ვადაში. დაწესებულების სასწავლო მიზნებისთვის საჭირო რესურსის შესყიდვის და განკარგვის მიზნით კოლეჯს ჰყავს ფინანსური მენეჯერი და სამეურნეო ჯანდაცვის და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, რომელთა ფუნქციებია კოლეჯის მატერიალური და ენერგორესურსებით (აღჭურვილობა, მასალა-ნედლეული, ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, წყალი) უზრუნველყოფა, სასწავლო მიზნებისთვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჭირო მასალების, აგრეთვე სამეურნეო საჭიროებისათვის საჭირო მასალების დროულად მომარაგება. წარმოდგენილი რეგულაციების მიხედვიტ გაწერილი პროცედურა იძლევა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის საჭირო მასალა-ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

**7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**
შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი" - ს დირექტორის 2026 წლის 11 თებერვლის №2602-324 (ცვლილება დირექტორის ბრძანება №2604-402, 30.04.2026წ) ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის მართვის შიდა მექანიზმები", რომლის მე-6 მუხლი ნათლად აღწერს კოლეჯის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასებას, კერძოდ შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევის შედეგების საშუალებით, ასევე, ადმინისტრაციული პერსონალის და მოდულის განმახორციელებელი პირების გამოკითხვის შედეგების მიხედვით. პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ითვალისწინებს კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასებას. შეფასების შედეგები ანგარიშის სახით წარედგინება დირექტორს, რის საფუძველზეც ხდება ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსების შესყიდვა ან/და განვითარება.
რესურსების შეფასების მიზნით გამოყენებული იქნება აგრეთვე ინვენტარიზაციის შედეგებიც, რომელიც განხორციელდება შესაბამისი სამსახურის მიერ ყოველწლიურად. ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით მატერიალური რესურსების განკარგვის წესის დაცვით განხორციელდება დაზიანებული რესურსების ჩამოწერა და განახლების დაგეგმვა.

**8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.**
შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი" - ს შენობა-ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ შენობაში განთავსებულია ქალებისა და მამაკაცებისთვის გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც უწყვეტად მარაგდება წყლით, აქვს ვენტილაციის საშუალება, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა. კოლეჯის ყველა სველ წერტილში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, განთავსებულია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები, ხელის ქაღალდის ხელსახოცების კონტეინერები, სველი წერტილები ადაპტირებულია შშმ პირებისათვის.

**9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.**
დაწესებულების შენობა-ნაგებობებში არსებულ სასწავლო აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკას, ასევე ადმინისტრაციულ ფართსა და საერთო სივრცეებს აქვთ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. ბიბლიოთეკის სივრცეში მოწყობილია სამკითხველო. განათება უზრუნველყოფს შრომის და სწავლის შესაბამის, უსაფრთხო პირობებს.

**10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.**
შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი" - ს სასწავლო, ადმინისტრაციულ და დამხმარე ფართში არსებული სამუშაო, სასწავლო და მოსასვენებელი, აგრეთვე დამხმარე დანიშნულების სივრცეები გამიჯნულია და იმგვარადაა განლაგებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და ადმინისტრაციული საქმიანობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებისთვის გამოყოფილია შესაბამისი სივრცეები. დაწესებულების შენობებში გვხვდება ე.წ. ,,კორიდორული“ სისტემის დაგეგმვა, რაც გამორიცხავს ერთმანეთში გამავალი სასწავლო ან სამუშაო სივრცეების არსებობას. კოლეჯი სარგებლობს კორპუსში არსებული საერთო ლიფტით.

**11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის №2602-309 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი“, რომელიც განთავსებულია როგორც ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მხოლოდ ელექტრონული (ციფრული) სახელმძღვანელოები და შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიები, რაც შესაძლებელს ხდის დაწესებულების საკუთრებაში არსებული სასწავლო რესურსი გადაიგზავნოს ელექტრონულად ნებისმიერ მისამართზე, დაიბეჭდოს მატერიალური სახით და ადგილზე მოხდეს სასწავლო მასალის გაცნობა.

ბიბლიოთეკა გარანტირებულად უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამების მოდულებით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო ლიტერატურას. სასწავლო რესურსის განახლება მოხდება მუდმივად, პროგრამების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების საჭიროებების იდენტიფიცირების საფუძველზე, დარგში არსებული რეგულაციების ცვლილებების შესაბამისად.

დაწესებულებას 2026 წლის 2 აპრილს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ,,სისტემატიზებული სახით ნორმატიული აქტების გაცნობის შესახებ“ სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ - სთან, რაც გულისხმობს სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ - ს ვებ-გვერდზე განთავსებული ნორმატიული აქტების გაცნობას.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *ინვენტარიზაციის აქტები;*
- *იჯარის ხელშეკრულებები;*
- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“
- *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები;*
- *შენობა/ნაგებობების აზომვითი ნახაზები;*
- *ცენტრალური გათბობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია - საგადახდო დავალებები, ქვითრები;*
- *ხარისხის მართვის შიდა მექანიზმები;*
- *,,შპს პროფესიული კოლეჯი მენტორის მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“;*
- *„ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი“;*
- *,,შპს პროფესიული კოლეჯი მენტორის სასწავლო პროცესის რესურსების მიწოდების, განკარგვის, მოთხოვნის და ნარჩენების მართვის წესი“;*
- *კოლეჯის სივრცეების ვიზუალური დათვალიერება;*
- *საკანონმდებლო მაცნესთან გაფორმებული ხელშეკრულება.*

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.**

შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი" - ს სარგებლობაში ქ, თბილისში, ა. პოლიტკოვსკაიას №4 - ში არსებული შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობა მოქმედი სტანდარტის მოთხოვნებთან შეფასებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს 2024 წლის 11 ივლისს №2091238 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე დამუშავებული სახანძრო უსაფრთოხების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის №313 აქტით, წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ,,შემაჯამებელი შეფასება ობიექტის შესაბამისობის შესახებ" არის ,,შეესაბამება", მიუხედავად წარმოდგენილი აქტისა ახალი რეგულაციების შესაბამისად სახანძრო უსაფრთხოების დაკმაყოფილების მიზნით აუცილებელია წყლის ჰიდრანტის არსებობა, რაც ამ ეტაპზე დაწესებულებას არ გააჩნია, ამ მიზნით დაწყებულია მუშაობა, ჰიდრანტის მოწყობის თაობაზე შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი" - ს სარგებლობაში ქ, თბილისში, ა. პოლიტკოვსკაიას №4 - ში არსებული შენობა-ნაგებობების მეპატრონის მიერ გაკეთებულია განაცხადი სსიპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში" 2026 წლის 02 აპრილს. **დაწესებულებას აღნიშნულთან დაკავშირებით ავტორიზაციის განაცხადთან ერთად წარმოდგენილი აქვს დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის №2602-901 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურები, სხვა ჩართული მხარეები, სავარაუდო ფინანსური რესურსი, შეუსაბამობის აღმოფხვრის სავარაუდო პერიოდი, რისკების და მათი დადგომის ალბათობის მაჩვენებლები.** რაც შეეხება შენობის მდგრადობის თაობაზე დასკვნას, დოკუმენტი დამუშავებული და გაცემულია შპს „საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო'' მიერ 2020 წლის 01 აგვისტოს ინსპექტირების ანგარიშის აქტის ნომრით #44, რომლის მიხედვით შენობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ეძლევა დადებითი შეფასება.

**ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები გეგმით განსაზღვრულ ვადაში შესრულება.**

**2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.**

კოლეჯში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შემუშავებულია რეგულაცია ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები'', რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის №2602-307 ბრძანებით (ცვლილება დირექტორის ბრძანება №2604-410, 10.04.2026). რეგულაციის მიხედვით გაწერილია კოლეჯში მოქმედი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, განსაზღვრულია პირველად დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი და თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული საკონტაქტო ნომერი. პირველი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელია ექთანი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი გადამზადება, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში აღნიშნული პირის შეცვლა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელსაც გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი. კოლეჯს აქვს პირველი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარი და საშუალებები, ვადის კონტროლსა და ინვენტარის მართვაზე პასუხისმგებელია პირველადი დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირი - ექთანი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეგულაცია დანართების სახით მოიცავს შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს, რეაგირების ფორმას, პირველადი დახმარების ინვენტარის კონტროლის ჟურნალს, პირველადი დახმარების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მზადყოფნის შეფასების ფორმას. დაწესებულების მიერ დამუშავებული რეგულაციის მე-5 მუხლი არეგულირებს მედიკამენტების მართვის საკითხებს, დაწესებულების განმარტებით საუბარია პირველადი სამედიცინო დახმარების პროცესში გამოყენებულ საშუალებებზე და არა მედიკამენტური მკურნალობის საკითხებზე, აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - **დაზუსტდეს რეგულაციაში ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები" არსებული ჩანაწერი მედიკამენტების შესახებ, ისე რომ იკითხებოდეს ცალსახად და არა ორაზროვნად.**

**3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.**
დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის 2026 წლის 09 თებერვლის №2026-303 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანგებო მართვის გეგმა", რომელიც შეთანხმებულია შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (მიწერილობა MIA 0 26 00478288, 11/02/2026), საგანგებო მართვის გეგმები მოიცავენ კოლეჯის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში საგანგებო მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმებს, გეგმებში გაწერილია საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები, ძირითადი საფრთხეები და მოსალოდნელი რისკები, ასევე, საგანგებო სიტუაციის ძირითადი სცენარები.

**4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**
კოლეჯს დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის №2602-201 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის ,,კოლეჯის წესდება" შესაბამისად და კოლეჯის საშტატო ნუსხით განსაზღვრული სამუშაო აღწერილობის შესაბამისად დაწესებულების მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ დაცვის დაცვის სპეციალისტები, რომელთა მოვალეობებია: წესრიგის დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; კოლეჯის ტერიტორიაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტების დახმარება გადაადგილების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში); კოლეჯის ქონების დაცვა და გაფრთხილება. გარდა ამისა შენობაში, სადაც განთავსებულია აღნიშნული კოლეჯი, დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები, რომელიც აღჭურვილია ჩაწერის ფუნქციით, რომლებიც კონტროლდება შენობის დაცვის თანამშრომლების მიერ 24 საათის განმავლობაში.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- *,,პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები";*
- *სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი;*
- *,,საგანგებო მართვის გეგმა";*
- *შესაბამისობის გეგმა;*
- *შენობის მდგრადობის გამოკვლევის აქტი;*
- *,,კოლეჯის წესდება";*
- *მიმოწერა ჰიდრანტის მოწყობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან;*
- *უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებების ვიზუალური შემოწმება;*
- *დაწესებულების შენობის მდგრადობის სესაბამისობის დასკვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს**

შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი“ სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმის წარმოების ოპტიმალურ დონეზე წარმართვის მიზნით აღჭურვილია სათანადო პარამეტრების მქონე საინფორმაციო ტექნოლოგიებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. დაწესებულებაში ხელმისაწვდომია, როგორც უსადენო, ასევე ქსელის ინტერნეტი. დაწესებულებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულფასოვანი მუშაობის მიზნით განსაზღვრული ჰყავს IT მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნა - განვითარებას. მისი ფუნქციებია: ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და გატარება; ახალი სისტემური პროგრამული საშუალებების დანერგვა; სასწავლო პროცესის პროგრამული უზრუნველყოფა; ინტერნეტ-სერვისებით (ვებ-სერვისები, ელექტრონული ფოსტა) მომსახურების ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარება და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური აპარატული (სერვერული, ქსელური და ხმის/ვიდეოს გადაცემის აპარატურა) უზრუნველყოფა.

სამუშაო და სასწავლო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი პარამეტრების მქონე და საკმარისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით. კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები სარგებლობენ სამუშაო აღწერილობის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, ხოლო პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმახორციელებლები და პროფესიული სტუდენტები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და მოთხოვნილების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით და საჭირო დამატებითი მოწყობილობებით, გამომდინარე აქედან დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული საქმის წარმოების და მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვა IT ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით. დაწესებულებას ინტერნეტის შეუფერხებლად მიღებისა და გამოყენების მიზნით გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება 2 წლის ვადით ინტერნეტ-პროვაიდერთან - შპს „მეტრონეტი". კოლეჯის დომენი https://www.mentorcollege.ge/ რეგისტრირებულია შპს ,,დომენები.ჯი" - ს მიერ რაც დასტურდება 2026 წლის 25 მარტის №09/0326 მიწერილობის საფუძველზე.

**2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 10 თებერვლის №2602-325 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაცია ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები", რომელიც სავალდებულოა დაწესებულების ადმინისტრაციულ თუ სასწავლო პროცესში ჩართული ყველა პირისათვის, ვისაც გააჩნია წვდომა კომპიუტერულ, ქსელურ და საინფორმაციო რესურსებზე და ითვალისწინებს: ინფორმაციულ უსაფრთხოებას, მონაცემთა დაცვას, უსაფრთხოების ინციდენტებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, მომხმარებლის ანგარიშის წვდომის უფლებას, ელექტრონულ ფოსტას, კონფიდენციალურობის დაცვას, ვირუსებისა და საზიანო პროგრამებისაგან დაცვას, ელექტრონულ მონაცემთა მართვას და კომპიუტერული ინფრასტრუქტურის მონიტორინგს. IT რისკების მართვას უზრუნველყოფს დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი.

**3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით - №2602-314; 06/02/2026), რომლის მიხედვითაც ხორციელდება პროცესები. კოლეჯის საერთო სარგებლობის სივრცეებში, ასევე შენობაში სადაც განთავსებულია კოლეჯი დამონტაჟებულია ვიდეოკამერები და სადაც ხორციელდება ვიდეოთვალთვალი, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშანი ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ. მოქმედი რეგულაციის მიხედვით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი, პერსონალური მონაცემის დამუშავების პროცედურა, მონაცემთა დაცვის მექანიზმები, პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება და მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნებიდან გამომდინარე დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება #26_908 (15.02.2026 წ.), რომლის მიხედვითაც შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს დამკვეთს მომსახურება, რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფუნქცია მოვალეობებს. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 7 წელი.

**4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.**

შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი" - ს დირექტორის 2026 წლის 11 თებერვლის №2602-324 (ცვლილება დირექტორის ბრძანება №2604-402, 30.04.2026წ) ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის მართვის შიდა მექანიზმები", რომლის მიხედვითაც კოლეჯში მუდმივად განხორციელდება მატერიალური რესურსების მათ შორის IT ტექნოლოგიების შეფასება ადმინისტრაციის, პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვის საფუძველზე.

კოლეჯის საკუთრებაში არსებული კომპიუტერების პროგრამულ უზრუნველყოფის განახლების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე კომპიუტერული ტექნიკის გამართულობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე და არსებული პრობლემების დროულ მოგვარებაზე, ქსელის გამართვაზე და უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელ პირად განსაზღვრულია IT მენეჯერი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.**

კოლეჯის სასწავლო და ადმინისტრაციულ სივრცეში უზრუნველყოფილია მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან და შიდა რესურსებთან წვდომა, როგორც სადენიანი, ისე უსადენო (Wi-Fi) ქსელებით. ინფრასტრუქტურის სტაბილურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის მენეჯერი, რომელიც განახორციელებს სისტემის უწყვეტ მონიტორინგს. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს შეექმნება წვდომასთან დაკავშირებული პრობლემა, მოქმედებს მხარდაჭერის გამართული სისტემა.

რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე თავისუფალი წვდომა გარანტირებულია შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი“ - ს დირექტორის 2026 წლის 05 აპრილის №2604-407 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ მე-VII თავის ,,პროფესიული სტუდენტი“ მე-20 მუხლი ,,პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები“ აღწერს დაწესებულების ინფრასტრუქტურის და სივრცეების პროფესიული სტუდენტი მიერ სარგებლობის საკითხებს.

დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის მართვის მექანიზმები ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვას IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის შეფასების მიზნით.

**6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

კოლეჯის ადმინისტრაციის, პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, ოფიციალური ვებგვერდი (https://www.mentorcollege.ge/): წარმოადგენს მთავარ, საჯარო საინფორმაციო ცენტრს. ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ოფიციალური სიახლეები, განცხადებები, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები და ზოგადი ინფორმაცია კოლეჯის საქმიანობის შესახებ.

კოლეჯის საკუთრებაშია კორპორატიული ელ. ფოსტა info@mentorcollege.ge/, ამ ეტაპზე აღნიშნული ელ. ფოსტა ემსახურება მხოლოდ ადმინისტრაციას, ხოლო მომავალში კოლეჯის მიერ განხორციელდება მისი ყველა თანამშრომლისა და სტუდენტის კორპორატიულ ელ. ფოსტაზე წვდომა.

დისტანციური სწავლების ფარგლებში კოლეჯი გამოიყენებს Google Workspace for Education პლატფორმათა პაკეტს, რომელზეც წვდომა უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ კოლეჯის კორპორაციული ელ. ფოსტის (@mentorcollege.ge) საშუალებით.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- *,,ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები“;*
- *ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *დომენით სარგებლობის მიწერილობა;*
- *„ხარისხის მართვის შიდა მექანიზმები“;*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;*
- *ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მომსახურების შესახებ;*
- *კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“*
- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.**

შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი“ - ს დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის №2602-305 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „საქმისწარმოების წესი“, საფუძველზე განსაზღვრულია საქმისწარმოების ძირითადი საკითხები, საქმისწარმოების ფორმები, წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი/ები, განსაზღვრულია გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის წესი, ვადები, კორესპონდენციის მიღება, აღრიცხვა (რეგისტრაცია) და გადაგზავნის პირობები, დოკუმენტის შედგენისა და გაფორმების მოთხოვნები, ბეჭდის გამოყენებაზე და ბრძანების მომზადების უფლებამოსილების მქონე პირები, ბრძანების ფორმალური მხარე. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარდა გასაუბრება საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან, რომლის საფუძველზეც დასტურდება, რომ დაწესებულებაში საქმისწარმოება აგებულია ცენტრალიზაციის პრინციპით და შეესაბამება ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.**

შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი“ მიმდინარე ადმინისტრაციული, თუ სასწავლო პროცესის წარმოებისას გამოიყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, პროფესიული დაწესებულებების მართვის სისტემას e-vet.emis.ge, ადმინისტრაციული საქმისწარმოების შემთხვევაში ელექტრონული საქმისწარმოების სისტემას (eflow), რომელზედაც წვდომა უზრუნველყოფილია დაწესებულებასა და ააიპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია - ს შორის 01.05.2026 წ. გაფორმებული #2026_101 ხელშეკრულების საფუძველზე. ეს თანამედროვე ტექნოლოგია უზრუნველყოფს შიდა ოფიციალური დოკუმენტაციის სრულ სასიცოცხლო ციკლს შექმნიდან და ვიზირებიდან დაარქივებამდე. ელექტრონული საქმისწარმოების გარდა, თანამედროვე ტექნოლოგიები გამოყენებული იქნება სხვა მიმართულებებითაც. (ფინანსური, ადამიანური).

**3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.**

შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი“ ავტორიზაციის მიღების შემდეგ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. ამ ეტაპზე ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა და დადასტურდა პროფესიული დაწესებულებების მართვის სისტემაზე e-vet.emis.ge კოლეჯის წვდომის არსებობა. აღნიშნულ პორტალზე წვდომა მკაცრად შეზღუდულია და წვდომა აქვს მხოლოდ მიზნობრივ პერსონალს, როგორიცაა: საქმისწარმოებისა და რეესტრის სპეციალისტი. არსებული მონაცემების შემოწმება/გამოყენება ხდება მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნით, კოლეჯის საქმიანობიდან გამომდინარე, უფლებამოსილი პირის მიერ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**
დაწესებულებას საქმისწარმოების წესში განსაზღვრული აქვს კორესპონდენციებზე რეაგირების პროცედურა და გონივრული ვადები. ავტორიზაციის გავლის შემდეგ დაწესებულება ითანამშრომლებს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან და დროულად მიაწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირს eflow სისტემის ან/და კოლეჯის ოფიციალური ელ. ფოსტის info@mentorcollege.ge გამოყენებით.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- *„საქმისწარმოების წესი“;*
- *პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;*
- *საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა e-flow (პროგრამული უზრუნველყოფა);*
- *კოლეჯის ჯორპორატიული ელექტრონული ფოსტა;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას
1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
**1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.**
კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი https://www.mentorcollege.ge/, ასევე სოციალურ ქსელში facebook არსებული გვერდები https://www.facebook.com/profile.php?id=61588159312567, გამოიყენება/გამოყენებული იქნება როგორც საკომუნიკაციო და საინფორმაციო საშუალება, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია გონივრულ ვადაში მიეწოდება დაინტერესებულ პირებს. ვებგვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ,ონაცემები, დატანილია ყველა არსებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია კოლეჯის და მისი საქმიანობის შესახებ საზოგადოების სრულფასოვანი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმირებისათვის, კერძოდ: კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები; დაწესებულების სტრუქტურა; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; ინფორმაცია პერსონალის შესახებ; ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ; მთავარი სიახლეები; პროგრამების ანოტაციები; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და სხვა ნორმატიული დოკუმენტები; ელექტრონული კატალოგი; კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები; ინფორმაცია პროფესიული სტუდენტებისთვის, საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად გამიზნული ინფორმაცია, როგორც მიმდინარე პროცესები და აქტივობები, ასევე დაგეგმილი ღონისძიებები და დროული სიახლეები.
ვებგვერდზე შესაძლებელია მარტივი ნავიგაცია. ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ დადასტურებულ რუბრიკებში. არსებობს სიტყვით ძებნის ფუნქცია.

**2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.**
კოლეჯის ვებგვერდი https://www.mentorcollege.ge/, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე და უზრუნველყოფს სრულ ინფორმაციას კოლეჯის საქმიანობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ვებ - გვერდზე არსებობს ჩანართი ENG, ამ ეტაპზე ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია არაა ხელმისაწვდომი და ამის არც საჭიროება არსებობს.

**3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.**

კოლეჯში ინფორმაციის გავრცელების პროცესს, სანდოობისა და უტყუარობის პრინციპების დაცვას განახორციელებს კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის №2602-315 ბრძანებით დამტკიცებული ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“ - ს შესაბამისად. კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობებით განსაზღვრულია კოლეჯის ვებგვერდის, ფეისბუქის და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით, სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელების პასუხისმგებლობა. კოლეჯთან დაკავშირებული ტექსტუალური და ვიზუალური ინფორმაცია შეთანხმდება დირექტორთან გავრცელდება სოციალური ქსელის და მედია საშუალებების გამოყენებით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარდა გასაუბრება საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტთან, შეფასდა მისი პირადი საქმის შესაბამისობა მოთხოვნილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და დადგინდა, რომ დაწესებულება შეძლებს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

**4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.**
კოლეჯის ვებ-გვერდზე: https://docs.google.com/presentation/d/1WoiJm0y6hPQMEW_pKrH5tZWsgpQxigJR/edit?slide=id.p1#slide=id.p1, განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. პროგრამის კატალოგი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების პროფესიული პროგრამის საფეხურის, დაშვების წინაპირობების, განხორციელების ვადების და სხვა პარამეტრების შესახებ. ვებ-ჩანართში პროგრამის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება, მათ შორის საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ და დეტალური ინფორმაცია მიიღონ პროგრამების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულის საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ დაწესებულებას ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს პროგრამის კატალოგი აღწერილობებით, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია დამატებითი ინფორმაციის საჭიროებისამებრ დაუკავშირდეს შესაბამისი საკონტაქტო პირს.

**5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.**
კოლეჯი არაა ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ავტორიზაციის მოპოვების პროცედურა, შესაბამისად ვებ-გვერდზე: https://docs.google.com/presentation/d/1WoiJm0y6hPQMEW_pKrH5tZWsgpQxigJR/edit?slide=id.p1#slide=id.p1, განთავსებულია ინფორმაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგის შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებასაც ცდილობს.

**6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**
კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის №2602-315 ბრძანებით დამტკიცებული ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“ - ს შესაბამისად საზოგადოებასთან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებიდან მიღებული ინფორმაცია კითხვა, სურვილი, საჩივარი და სხვა მუშავდება დაწესებულების პერსონალის მიერ, მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესაბამისად. უკუკავშირის არხებით მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება დაწესებულების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- *დაწესებულების ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“;*
- *მიწერილობა დომენის კუთვნილების შესახებ;*
- *ჰოსტინგის ხელშეკრულება;*
- *დაწესებულების მოქმედი ვებგვერდი ქართულ ენაზე;*
- *პროგრამების კატალოგი;*
- *ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი და სასწავლო საქმიანობის შესახებ ვებ-გვერდზე და სოც. ქსელებში განთავსებული ინფორმაცია.*

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.3 ფინანსური რესურსები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.3.1** დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;**

შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი" - ს ბიუჯეტი შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოდგენილი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს წარმოადგენს პროგრამული და ვაუჩერიდან მიღებული დაფინანსება, ხოლო ხარჯვითი ნაწილი ესაა შრომის ანაზღაურება, შენობის იჯარის ხარჯი, მასალა-ნედლეულის და მომსახურებისა შესყიდვაზე გაწეული ფინანსური რესურსი.

ვაუჩერული დაფინანსება მიემართება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველსაყოფად, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის და პრემიის/დანამატის, ფულადი წახალისებისა და სასწავლო პროცესის ხარისხიანი წარმართვისთვის აუცილებელი საჭიროებების (სასწავლო მასალები და ინსტრუმენტები/აღჭურვილობა) ასანაზღაურებლად.

**2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;**

დაწესებულება სრულად და შეუფერხებლად შეძლებს საოპერაციო ხარჯების დაფარვას, რაც დასტურდება წარმოდგენილი ბიუჯეტის დოკუმენტის მიხედვით. საოპერაციო ხარჯები მოიცავს როგორც სახელფასო ანაზღაურების, კომუნალური გადასახადების, ისე მომსახურებისა და შესყიდვების და სხვა საჭირო ხარჯს. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა კოლეჯის ფინანსური დოკუმენტი, მათ შორის კომუნალური გადასახადების დაფარვისთვის გამოყოფილი რესურსი, სახელფასო ანაზღაურების, სხვადასხვა მომსახურების შესყიდვების განხორციელების ფინანსები, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილი იქნება ფინანსური რესურსით.

**3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;**

შპს ,,პროფესიული კოლეჯს მენტორი" დამუშავებული აქვს საპროგნოზო ფინანსური დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას წარმოდგენილ საანგარიშო პერიოდში, რის საფუძველზეც დაწესებულებას შეუძლია შეაფასოს საკუთარი ფინანსური მდგრადობა, როგორც მიმდინარე, ისე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დოკუმენტი, რის საფუძველზეც დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

**4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი" წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელსაც ჯერ არ აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, გარდა ამისა აღნიშნული ორგანიზაცია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ახლად ჩამოყალიბებულია და არ აქვს საქმიანობის პრაქტიკა, შესაბამისად არ არსებობს ფინანსური შეფასების ფაქტი, რომელზედაც რეაგირებას მოახდენდა დაწესებულება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ავტორიზებული კოლეჯის სტატუსის მოპოვების შემდგომ დაწესებულება მზად იქნება ითანამშრომლოს ნებისმიერ ზემდგომ ორგანიზაციასთან, მათ შორის ფინანსური აუდიტის განმახორციელებელ სტრუქტურებთან და შედეგებიდან გამომდინარე მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- *დაწესებულების საპროგნოზო ბიუჯეტი;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ**

**I. ზოგადი ინფორმაცია**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0712 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | კოლეჯის დირექტორის 11.03.20126 წ. ბრძანება №2603-503 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ა. პოლიტკოვსკაიას 4, სართული 7 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 126 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 150 |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების*

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|

*შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**დასაბუთება**

.....
.....

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას**

შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი“ - ს დირექტორის 2026 წლის 02 აპრილის №2604-403 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“. აღნიშნულ მეთოდოლოგიაში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, დაინტერესებული მხარეების განსაზღვრის, პროგრამის ხელმძღვანელისადმი, ძირითადი დოკუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნები და პროგრამის შემუშავებისთვის განსახორციელებელი პროცედურების წესები და პირობები. კოლეჯის მისიაში გაცხადებულია პროფესიული განათლების ძირითადი მიზანი - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებით მაღალი ხარისხის, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების უზრუნველყოფა. ხოლო კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში იკვეთება კოლეჯის ძირითადი საქმიანობა, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო ავტორიზებული პროგრამების განხორციელება.

პროგრამა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისია, ვინაიდან საქართველოში საერთაშორისო შეთანხმებებით შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვისა და ეფექტური მართვისათვის ქვეყანაში მოქმედი ყველა საჯარო თუ კერძო დაწესებულება კანონმდებლობის თანახმად ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებაც მოთხოვნილია ყველა საწარმოსა თუ დაწესებულების ფუნქციონირებისას. დასაბუთებისას, კოლეჯის მიერ არის განსაზღვრული აღნიშნულ დარგში კადრების მოთხოვნაზე რეალური ვითარება და მზარდი მოთხოვნა აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის.ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯმა ჩამოაყალიბა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა, რომელიც თანხვედრაშია მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაბუთება ეფუძნება როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მონაცემებს, რომლებიც ადასტურებენ კონკრეტულ სფეროში კვალიფიციური კადრების მოთხოვნას და პროგრამის რეალურ გამოყენებადობას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას დამსაქმებელთა საჭიროებებთან და ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციალს.
აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად ეყრდნობა კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება,
შრომის ბაზრის მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კვალიფიკაცია მაღალი მოთხოვნის მქონე პროფესიად რჩება.ქართულ დასაქმების პლატფორმებზე – Jobs.ge, HR.ge, CV.ge, Myjobs.ge – რეგულარულად ქვეყნდება ასზე მეტი ვაკანსია შრომის უსაფრთხოების მიმართულებით. აღნიშნულ ვაკანსიებში უმეტესად მოთხოვნადია: სახელმწიფოს მიერ აღიარებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატი, შრომის უსაფრთხოების რეგულაციებისა და ტექნიკური რეგლამენტების ცოდნა,
დასაქმების პლატფორმებზე არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ განსაკუთრებით სამშენებლო, საწარმოო და ლოგისტიკის სექტორებში გაიზარდა მოთხოვნა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებზე.

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტით მოთხოვნილ წინაპირობასთან. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რითიც კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების", დირექტორის 2026 წლის 06 აპრილის №2603-310 ბრძანებით დამტკიცებული ,,შპს პროფესიული კოლეჯი მენტორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები" - ს და შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი" - ს დირექტორის 2026 წლის 05 აპრილის №2604-407 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" - ს შესაბამისად, კერძოდ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევა/შეფასება განხორციელდება სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე. აუცილებელია ტესტირების გავლა და ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა, რის შემდეგაც განხორციელდება დაწესებულებაში შიდა შერჩევის პროცედურა დადგენილი წესის შესაბამისად.

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

დირექტორის 2026 წლის 11 თებერვლის №2602-321 ბრძანების საფუძველზე კოლეჯს დამტკიცებული აქვს ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულირაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია", დოკუმენტის თანახმად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმებს: სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას (A, B, C სასწავლო გარემოს მიხედვით), პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის საკმარისობას (პროფესიული განათლების მასწავლებლების მიხედვით) და პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებით განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობას (პრაქტიკის ობიექტების მიხედვით).კოლეჯმა აღნიშნული კრიტერიუმებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღრა „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 126 (ჯგუფად თითო ჯგუფში 21-21 პროფესიული სტუდენტით) პროფესიული სტუდენტი.

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის კოლეჯს აქვს სააუდიტორიო ფართი, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი რესურსებით. სალექციო ფართი, მოწყობილია 21 -21 პროფესიული სტუდენტისთვის. თუმცა საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული სწავლების დისტანციური მიდგომით დაშვებული მოდულების განხორციელება სრულად დისტანციურად აქვთ დაგეგმილი, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჭიროების შემთხვევაში კოლეჯის ინფრასტრუქტურა იძლება შესაძლებლობას, რომ შესაბამისი ტექნოლოგიების არ არსებობის სემთხვევაში სტუდენტს შეეძლება დისტანციურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში კოლეჯის B გარემოდან. სივრცეები აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო მინიმალური მატერიალური რესურსით. რაც შეეხება საგანმანათლებო რესურსს, კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გამოყენებული ლიტერატურის ელექტრონული სახით განთავსებას საბიბლიოთეკო (მათ შორის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში) სივრცეში და მიწოდებას სტუდენტისთვის, ამასთან დაწესებულებაში არსებობს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში დაიბეჭდოს ესა თუ ის სასწავლო რესურსი და მატერიალური სახით მიეწოდოს პროფესიულ სტუდენტს.

**5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

**6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი“ - ს დირექტორის 2026 წლის 02 აპრილის №2604-403 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაცია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“ განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირს, აღნიშნული დოკუმენტის მე-2 მუხლის, 2.18 პუნქტის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შპს პროფესიული კოლეჯი მენტორის დირექტორის 2026 წლის 11 მარტის №2603-503 ბრძანებით.

**7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავებულია საგანმანათლებლო სტანდარტის ჩარჩო დოკუმენტის - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საფუძველზე და კვალიფიკაცია ფორმულირებულია შემდეგნაირად - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების (სარეგისტრაციო 07311-პ)“ საფუძველზე. ასევე კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“ შესაბამისად. პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, დამტკიცების თარიღი, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, დაშვების წინაპირობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული ესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება, პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი. პროგრამა მოიცავს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის განსაზღვრულ მოდულებს, სულ 120 კრედიტის მოცულობით ქართულენოვანი სტუდენტებისთვის და 150 კრედიტს არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც სათანადოდ არის ადაპტირებული პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- *დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე;*
- *ბრძანება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;*
- *პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია წესი;*
- *საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება;*
- *სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
- *სამოქმედო გეგმა;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები";*
- *დირექტორის ბრძანება პროგრამის დამტკიცების შესახებ;*
- *პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება.*
- *კოლეჯის მისია.*

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

დაწესებულებას გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები" განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით შესაძლებელია მაქსიმუმ 126 პროფესიული სტუდენტის სწავლება 2 ცვლაში, თითო ჯგუფში 21-21 სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი. კერძოდ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია და პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო გარემოები. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია: ერთი AB, ერთი A და ერთი AC სასწავლო გარემო - (21 სტუდენტისთვის), აუდიტორიაში განთავსებულია: პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისთვის პროფესიული სტუდენტის მაგიდა და სკამი; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტისათვის - 1 ცალი, დემონსტრირების ციფრული საშუალებები 1 ც, დაფა 1 ც, პრინტერი (კომბაინი). სტუდენტის კომპიუტერები და C სასწავლო გარემოს აღჭურვილობა, იმ მოდულების სწავლის შედეგების განსახორციელებლად, რომელთა სწავლება წინასწარ განსაზღვრულია დაწესებულების AC სასწავლო გარემოში, პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალურ რესურსზე წვდომა. პარტნიორ ორგანიზაციებს შეუძლიათ ერთდროულად 24 პროფესიული სტუდენტის მიღება საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის. პროგრამის სწავლების ხანგრძლივობის გათვალისწინებით. (2 წელი)

პრაქტიკის განხორციელებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვთ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგ 9 ორგანიზაციასთან 7 წლის ვადით:

1. შპს ‘კონსოლი“ -მისამართებზე. მოსკოვის გამზირი 9.,თბილისი, ლისი, ცაცხვების ქუჩა VIII შესახვევი, თბილისი, მოსკოვის გამზირი 7
2. შპს „ინოვა“ - მის. ზ. ანჯაფარიძის 6
3. შპს ‘სანფლაი თრეველი’ - ისანი, ქეთევან დედოფლის 92
4. შპს ‘მისო გირო კრედიტი’ - მისამართებზე ცოტნე დადიანის ქუჩა 193, ალ.ყაზბეგის გამზირი No31, ალ.ყაზბეგის გამზირი No19ა. ა. ვასაძის ქ. No6.17 შინდისელი გმირის N20, რამაზ შენგელიას 6
5. შპს ‘ჯოიფული ‘- მის. თბილისი, ცოტნე დადიანის 203
6. შპს ‘ჯანმრთელობის სახლი’ - ლავრენტი მანაგაძის 17
7. შპს "პურიკო" - ალიო მირცხულავას 6
8. შპს“ „ რაიზერ ბარი’- თამარ მეფის გამზირი N18
9. ი/მ დემეტრე აბაშიძე (ბუონო- მის.აღმაშენებლის ხეივანი 91 ა

ხელშეკრულებების თანახმად პარტნიორი ორგანიზაციები იღებენ ვალდებულებას პრაქტიკაზე მივლინებული პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული კომპონენტების ათვისების მიზნით გამოყოს სათანადო კვალიფიკაციის/კომპეტენციის პრაქტიკის ინსტრუქტორები, რათა უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვა ტერიტორიაზე მათი ყოფნის პერიოდში.

დაწესებულებაში პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაბამისად, გასაუბრება განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელმაც აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტის დროს პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდებათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი, კომპანიების შრომის უსაფრთხოების წარმომადგენელი გააცნობს შიდა რეგულაციებს, კომპანიის შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს და სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, უსაფრთხო შრომის გარემოს შექმნის მიზნით. აღნიშნული პირობების შესრულება დადასტურდა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და ვიზუალური დათვალიერებით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას გააჩნია ადამიანური და მინიმალური აუცილებელი მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა 150 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას. ერთ ჯერზე 24 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ სულ განახორციელებს 20 (თითო მოდულში მინიმუმ 3 მასწავლებელი) აქედან ზოგად მოდულებს 5, ხოლო 15 - პროფესიულ მოდულებს. პროფესიული განათლების მასწავლებელი. მასწავლებელთა რაოდენობა მათი საათობრივი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“და არ აღემატება კვირაში 40 საათს. დაწესებულება სრულად იყენებს პროგრამის დისტანციური ფორმით განხორციელების შესაძლებლობას .

დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინეს განმახორციელებლელთა დატვირთვა, სასწავლო ცხრილის წინასწარ დამუშავებული შესაძლო ვარიანტი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, რომელთაც დაადასტურეს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების ცოდნა, გასაუბრებითა და პირადი საქმეების შესწავლით დადასტურდა აღნიშნული პირების ცოდნა, უნარები და პროგრამის განსახორციელებლად საჭირო შესაბამისი კომპეტენციები. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების ცოდნა და შესრულება.

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. უმეტეს მათგანს აქვს პროფესიულ მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება. ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, და დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ მოდულების შექმნაში, გავლილი აქვთ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, იცნობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებს. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი და პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების შესაბამისი კომპეტენცია.

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" ხელმძღვანელად დაწესებულებას შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის ფუნქცია მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის №2602-330 ბრძანების შესაბამისად. პროგრამის ხელმძღვანელი მართავს პროგრამის სამუშაო ჯგუფს და აქვს დარგობრივი და მენეჯერული კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს პროგრამის შემუშავებას, განხორციელებას და განვითარებას. მას გააჩნია შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის განხორციელებისა და ხელმძღვანელობის გამოცდილებაც. მასზე გაცემულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვა - ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების მეთოდებისა და მიმართულებების მოდულის სწავლების შესახებ.

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

კოლეჯი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაში „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" მითითებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი", რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. რესურსები. საგანმანათლებლო პროგრამებში საკანონმდებლო-ნორმატიულიკომპონენტების სწავლების მიზნით კოლეჯს აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს matsne.gov.ge-ის პლატფორმაზე.

პროფესიულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია მოიძიონ ინტერნეტით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილნი იქნებიან ლეპტოპებით ისარგებლონ სამკითხველოდ გამოყოფილი ადგილებით და მიიღონ ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში და შეუძლიათ გამოიყენონ სასწავლო პროცესში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს კოლეჯ ,,მენტორში“ ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით.

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად**

შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი“ - ს დირექტორის 2026 წლის 05 აპრილის №2604-407 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ - ს მე-16 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს მათი საჭიროებების შესაბამისად. კოლეჯის პერსონალს აქვთ მზაობა მიიღონ მსგავსი საჭიროების სტუდენტები, კოლეჯში გაწერილია საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მდგომარეობის გათვალისწინებით და მისივე ჩართულობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები, რომელიც დაეფუძნება პროგრამას/მოდულს და იქნება მისი მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით. ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს.

ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას (რენტაბელობის ზღვარი 10 სტუდენტი). შემოსავლები დათვლილია 10 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებულ ჯგუფზე (სულ 6 ჯგუფი) და საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- *მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *დოკუმენტაცია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შესყიდვის შესახებ;*
- *სამუშაო აღწერილობითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;*
- *პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;*
- *განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;*
- *,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";*
- *პროგრამის ბიუჯეტი;*
- *გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგებით.*

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი" - ს დირექტორის 2026 წლის 02 აპრილის №2604-403 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაცია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია", რომელიც განსაზღვრავს პროგრამის შეფასების მექანიზმს. პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება სასწავლო წლის დასასრულს, რის საფუძველზეც საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებები განხორციელდება. პროგრამას შესრულების ინდიკატორების საფუძველზე აფასებს ხარისხის მართვის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტაციის საფუძველზე:

1.სტუდენტთა მოსწრება და გამოკითხვის შედეგები; 2.კოლეჯის სერვისებით სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვის შედგები; 3.დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; 4.კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; 5.პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის გამოკითხვის შედეგები; 6.პროგრამის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია.

პროგრამის შეფასების შედეგად ხარისხის მენეჯერი მიზანშეწონილობის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელს წერილობით წარუდგენს პროგრამის სრულყოფის მიზნით შემუშავებულ რეკომენდაციებს. შეფასების ანგარიში დოკუმენტირდება და არქივდება კოლეჯში დადგენილი წესით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

კოლეჯში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტაცია განსაზღვრავს როგორც პროგრამის შემუშავების, ისე მისი შეფასებისა და განახლების წესებსა და პროცედურებს. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება ეფუძნება შიდა შეფასების შედეგებს, შრომის ბაზრის ტენდენციების ანალიზს და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს.

პროგრამაში ან მოდულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების პროცესში იდენტიფიცირდება შესაბამისი საფუძველი, დადასტურებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების ცვლილება ან მიღებულია დასაბუთებული რეკომენდაციები პროფესიული სტუდენტებისგან, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისგან, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციებისგან. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურობას და ამავდროულად არ ზღუდავს მის დროულ განახლებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებები ინიცირდება და მუშავდება კოლეჯის მიერ განსაზღვრული იგივე წესითა და პროცედურებით, რაც პროგრამის პირველადი შემუშავებისას, ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობით და დირექტორის მიერ დამტკიცების საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კოლეჯში მოქმედი შიდა რეგულაციები, მეთოდოლოგიები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- *,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“*
- *ხარისხის მართვის მექანიზმები;*
- *დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრები შედეგები.*

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, სასწავლო გეგმა, რომელიც წარმოდგენილია მკაფიო პროფესიული ლოგიკით სტანდარტით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. სასწავლო გეგმაში გამოყოფილია დისტანციური სწავლების მიდგომით და ადგილზე/პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულები, ასევე არადისტანციური მიდგომით განსახორციელებელი მოდულების კოლეჯის შესაბამის სასწავლო გარემოში და პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი საათების რაოდენობა.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სავარაუდო ხანგძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 81 სასწავლო კვირა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 103 სასწავლო კვირა.

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა განხორციელდება შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი“ - ს დირექტორის 2026 წლის 05 აპრილის №2604-407 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ - ს შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობებსა და პროცედურებს;
- მობილობის განხორციელების წესებს;
- მიღებული განათლების აღიარების მექანიზმებს;
- პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის შესაძლებლობებს.

კოლეჯში მოქმედი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ეფუძნება გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებს. შეფასების პროცესის ფარგლებში უზრუნველყოფილია:

- შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობა;
- მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასებების მკაფიოდ გაწერილი პროცედურები;
- შეფასების შედეგების განხილვისა და, საჭიროების შემთხვევაში, გადახედვის შესაძლებლობა დადგენილი წესის შესაბამისად.

შეფასების გადავადება ან ცვლილება ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე და წინასწარ განსაზღვრული პროცედურების დაცვით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის №2602-213 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაცია ,,სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მექანიზმები", რომელიც ასევე მოიცავს სასწავლო პროცესში სტუდენტთა მხარდაჭერის საკითხებს - მუხლი 3. მხარდაჭერის ღონისძიებები. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილი საკითხები გარკვეულწილად დუბლირებულია და ადგილი აქვს ერთგვარ გადაფარვას, შესაბამისად მიზანშეწონილია დაწესებულებამ მოახდინოს მოქმედი დოკუმენტების ოპტიმიზაცია გამსხვილების ან განცალკევების ხარჯზე, რაც გამორიცხავს რეგულაციის პრაქტიკულად აღსრულების პროცესში შემდგომ სირთულეებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - **მიზანშეწონილია დაწესებულებამ მოახდინოს მოქმედი რეგულაციების ოპტიმიზაცია.**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**
„შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის განსახორციელებლად კოლეჯის A C და B სასწავლო გარემო აღჭურვილია შესააბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიულ მასწავლებელთა უმრავლესობა დარგის მოქმედი სპეციალისტები არიან და ფლობენ დარგში შესაბამის ტექნოლოგიებს. პროგრამის ხანსახორციელებლად გამოყენებული პრაქტიკის ობიექტები წარმოდგენილი არიან დარგის უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, შესაბამისად სასწავლო პროცესში პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ აბსოლუტური წვდომა თანამედროვე მიდგომებსა და ტექნოლოგიებზე.

**4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**
შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი" - ს დირექტორის 2026 წლის 05 აპრილის №2604-407 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" - ს მე-16 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს მათი საჭიროებების შესაბამისად.

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**
პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვთ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან 7 წლის ვადით:
1. შპს 'კონსოლი" -მისამართებზე. მოსკოვის გამზირი 9.,თბილისი, ლისი, ცაცხვების ქუჩა VIII შესახვევი, თბილისი, მოსკოვის გამზირი 7
2. შპს „ინოვა" - მის. ზ. ანჯაფარიძის 6
3. შპს 'სანფლაი თრეველი' - ისანი, ქეთევან დედოფლის 92
4. შპს 'მისო გირო კრედიტი' - მისამართებზე ცოტნე დადიანის ქუჩა 193, ალ.ყაზბეგის გამზირი No31, ალ.ყაზბეგის გამზირი No19ა. ა. ვასაძის ქ. No6.17 შინდისელი გმირის N20, რამაზ შენგელიას 6
5. შპს 'ჯოიფული '- მის. თბილისი, ცოტნე დადიანის 203
6. შპს ჯანმრთელობის სახლი' - ლავრენტი მანაგაძის 17
7. შპს "პურიკო" - ალიო მირცხულავას 6
8. შპს" „ რაიზერ ბარი'- თამარ მეფის გამზირი N18



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. ი/მ დემეტრე აბაშიძე (ბუონო- მის.აღმაშენებლის ხეივანი 91 ა

პრაქტიკის ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №416 - ის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" მოთხოვნების შესაბამისად, ხელშეკრულებით განსაზღვრულია მოდულის განსახორციელებლად არსებული მატერიალური რესურსის არსებობისა და მასზე სტუდენტის წვდომის საკითხები, პრაქტიკის ობიექტის მხრიდან სტუდენტთა და პროფესიული მასწავლებლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა და სხვა საკვანძო საკითხები.

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დაწესებულებას დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის №2602-317 ბრძანებით დამტკიცებული აქვს რეგულაცია ,,დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის უზრუნველყოფის წესი", რომლითაც განსაზღვრულია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები, არსებული რისკები და მათი პრევენციის საშუალებები, ინსტრუქტაჟის სახეები, დაცვის საშუალებები, მონიტორინგისა და კონტროლის ღონისძიებები. პრაქტიკული კომპონენტის პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე განხორციელების შემთხვევაში უსაფრთხო გარემოს ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პრაქტიკის ობიექტს, რაც დასტურდება გაფორმებული ხელშეკრულებებით.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- *კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- *კოლეჯის რეგულაცია ,,სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მექანიზმები";*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;*
- *სასწავლო გეგმა;*
- *პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;*
- *კოლეჯის რეგულაცია ,,დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის უზრუნველყოფის წესი";*
- *ვიზუალური დათვალიერების შედეგები;*
- *გასაუბრების შედეგები.*

**2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**
შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი" - ს დირექტორის 2026 წლის 05 აპრილის №2604-407 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" - ს მე-14 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცედურებს. რომელიც თავის მხრივ მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების მიმართულებებს, შეფასების ვადებს, სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმებს.
შეფასების ინსტრუმენტებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებლები და წინასწარ დადგენილ ვადაში წარუდგენს ვალიდაციის ჯგუფს, რომელიც შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესს წარმართავს. წარმოდგენილი რეგულაციის 29 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია, რომ შეფასების პროცესში შესაძლებელია გამოყენებული იქნას მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი. ამავე მუხლში წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტის სტანდარტული ჩანაწერების შესახებ.
შეფასების მიმართულებები, გამოყენებული ინსტრუმენტები და შესრულების კრიტერიუმები სტუდენტებისთვის წინასწარ არის ცნობილი, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას და სამართლიან გარემოს.

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**
პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს შეფასების ვერიფიკაციის მკაფიოდ განსაზღვრულ მექანიზმს, რაც გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 30 აპრილის №2604-402 ბრძანებით დამტკიცებულ რეგულაციაში ,,შპს პროფესიული კოლეჯი მენტორის ხარისხის მართვის შიდა მექანიზმები" აღნიშნული მექანიზმის ფარგლებში ვერიფიკაციის პროცესს წარმართავს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მენეჯერი, აქვე განსაზღვრულია ვერიფიკაციის ჯგუფის წევრობის კანდიდატის შემზღუდავი მექანიზმი. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების პროცესის ვერიფიკაცია, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია; შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
რეგულაციის შესაბამისად განსაზღვრულია პროგრამის ფარგლებში გადასამოწმებელი მოდულების შერჩევის მინიმალური მოცულობა და მოდულის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებების შერჩევის მინიმალური მოცულობა.
ხარისხის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევას, ვერიფიკატორების შერჩევას და მათ ინსტრუქტაჟს, შესამოწმებელი მტკიცებულებების იდენტიფიცირებას და გამოთხოვას, ასევე ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზებას, რეკომენდაციების შეთანხმებას და მათი შესრულების მონიტორინგს (საჭიროების შემთხვევაში).
დაწესებულებაში მოქმედი რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტი არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას შესაძლო რისკების შესახებ, შესაბამისად მიზანშეწონილია რეგულაციაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს (ჩაიშალოს) რისკების სისტემა.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - **მიზანშეწონილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სრულფასოვნად წარმართვის მიზნით დაწესებულების რეგულაციაში მკაფიოდ გაიწეროს რისკების სისტემა.**

**3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი“ - ს დირექტორის 2026 წლის 05 აპრილის №2604-407 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ - ს 30-ე მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვის პროცედურებს. შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერს ან სპეციალისტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება დაწესებულების საქმისწარმოების წესით გათვალიწინებული პროცედურის შესაბამისად.
საბოლოო შეფასების უწყისები ივსება მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ მოდულის დასრულებისთანავე ან სწავლის შედეგების განმეორებითი დადასტურების შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროგრამის დასრულების შემდგომ ბარდება სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სპეციალისტს. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**
შპს ,,პროფესიული კოლეჯი მენტორი“ - ს დირექტორის 2026 წლის 05 აპრილის №2604-407 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ - ს მე-14 მუხლი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებს, აღნიშნული მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებში გაწერილია შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენების პროცედურები, კერძოდ პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის. აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი და სხვა.
**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- *კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- *შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები;*
- *ინტერვიუს შედეგები;*
- *კოლეჯი მენტორის ხარისხის მართვის შიდა მექანიზმები“.*

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია**
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. შესაბამისობის გეგმა

28.07.2026



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: